ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

„ხალხურის მოხსნა არ შეიძლება“

გვ.5

„კვირიკაშვილს აუცილებლად უნდა ჰყავდეს თავისი გუნდი“

ორშაბათი, 18 იანვარი, 2016 №13 (6939) ფასი: 50 თეთრი

პროკურორ ვახტანგ ქირიას საზარელი მკვლელობა



მკვლელობაში ეჭვმიტანილმა ბიძინა კუჭავამ თავი მოიკლა

შსს: პროკურორის გვამს დანაწევრების კვალი აქვს

გვ.2

კოალიციაში დაბრუნების სანაცვლოდ ალასანიამ წულუკიანის გადაყენება მოითხოვა

გვ.4

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ყოფილი პარტნიორების დაბრუნებაზე გადაჭრით ვერაფერს ამბობენ და მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ პოლიტიკაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება

ISSN 1987-9385

„სერგო რატიანისა და ნუგზარ წიკლაურის გამო ხალხი ტელევიზორებს ამტვრევს“

გვ.3

მამუკა არეშიძე: „რუსული გაზი საქართველოს სჭირდება“

გვ.6

პროკურორ ვახტანგ ქირიას საზარელი მკვლელობა

მკვლელობაში ეჭვმიტანილმა ბიძინა კუჭავამ თავი მოიკლა

16 იანვარს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი ვახტანგ ქირია მოკლული იპოვეს.

პროკურორის ცხედარი ქავთარაძის ქუჩაზე №35 სკოლასთან მდებარე კორპუსის პირველ სართულზე აღმოაჩინეს.

შსს: პროკურორის გვამს დანაწევრების კვალი აქვს

შემთხვევის ადგილზე მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე და შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი იმყოფებოდნენ. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ.

ვახტანგ ქირიას რამდენიმე დღე ვერ პოულობდნენ. მისი ტელეფონი რუსთავში, ქუჩაში იპოვეს, მაგრამ თავად არსად ჩანდა. ასევე ვერ აგნებდნენ ქირიას ავტომობილს.

პროკურორის გაუჩინარების ვერსიებზე საუბრობდა რუსთავი 2. ერთ-ერთ ვერსიად მისი სამსახურებრივი საქმიანობა სახელდებოდა. კერძოდ, ქირია ზუგდიდის საოლქო პროკურატურაში მუშაობდა და მას ოკუპირებულ აფხაზეთში მომხდარი დანაშაულები ებარა. ასევე ტელეკომპანიის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ მას უცნობმა პირებმა დაურეკეს. იგი სახლიდან გავიდა. მან მობილურ ტელეფონს მხოლოდ ერთხელ უპასუხა, ხოლო შინ აღარ დაბრუნებულა.

ვახტანგ ქირიას შვილმა განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ მედიისგან შეიტყო. ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტლის 24-ე კორპუსის მცხოვრებლები კი პირად საუბრებში ამბობდნენ, რომ სამართალდამცველები რამდენიმე დღეა, მათ ბინებს ამოწმებდნენ.

ადგილზე იმყოფებოდა მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი, რომელმაც დაადასტურა, რომ ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალში, 24-ე კორპუსში აღმოჩენილი მამაკაცის ცხედარი ვახტანგ ქირია იყო. გაბიტაშვილმა აღნიშნა, რომ, სავარაუდოდ, ქირია მოკლული იყო, ოფიციალური განცხადება კი მოგვიანებით გავრცელდებოდა.

მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქირიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი იყო საქართველოს ხმის დამფუძნებელი ბიძინა კუჭავა, რომელმაც თავი მოიკლა. სწორედ ბიძინა კუჭავას ჰქონდა დაქირავებული ქავთარაძის ქუჩაზე არსებული სახლი, სადაც პროკურორის ცხედარი აღმოაჩინეს.

სამართალდამცველებმა საქართველოს ხმის დამფუძნებლის სახლი 16 იანვარს გაჩხრიკეს და დაკითხვაზე დაიბარეს მისი მეუღლე. სახლიდან წაიღეს კომპიუტერები, დისკები და მეხსიერების ბარათებიც.

– ამ დილით ვიყავი, ოჯახს არ აქვს ინფორმაცია. მივიდნენ ჩხრეკაზე. ცოლიც სამმართველოში დაიბარეს. ბავშვი იყო და სიდედრი სახლში. არ იციან, სად არის ის. კომპიუტერიც წაღებულია. თერმეტი საათის შემდეგ არ იციან, სად არის. ბიძინა არის მოდულშიო, ასე ამბობენ, – აცხადებდა საქართველოს ხმის დირექტორი მამუკა კუჭავა კურიერთან სატელეფონო საუბრის დროს.

გუშინ დახურული იყო რადიო საქართველოს ხმის ოფისი.

◆ ◆ ◆

როდესაც სამართალდამცავებმა კუჭავას კვალს მიაგნეს, კუჭავას ავტომანქანაში კიდევ ორი პირი იმყოფებოდა. ბიძინა კუჭავა დედაქალაქს ტოვებდა მეგობართან და მეგობრის მეუღლესთან ერთად ემელის მარკის ავტომობილით, რომელთან დაკავშირებითაც იუსტიციის სახლის მიმდებარედ სამართალდამცავები 16 და 17 იანვარს საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებდნენ.

არსებული ინფორმაციით, კუჭავას თანმხლები პირები სამართალდამცავების მისვლის მომენტში მიიმალნენ, ხოლო ბიძინა კუჭავა მანქანაში გარდაცვლილი ნახეს.

წინასწარი ინფორმაციით, მან თავი მოიკლა.

კუჭავას ახლობლები ამბობენ, რომ ის მათ ბოლოს 2 დღის წინ ნახეს. კურიერის ცნობით, სამართალდამცავებმა გუშინ დაკითხეს ქალი, რომელიც ბიძინა კუჭავას ავტომანქანაში იჯდა.

საგამოძიებო უწყებიდან გამოსვლის შემდეგ ქალს კომენტარი არ გაუკეთებია.

◆ ◆ ◆

გუშინ ვახტანგ ქირიას ძმამ, ელდარ ქირიამ, სამართალდამცავებს მადლობა გადაუხადა.

– ის, რომ ვახტანგის გვამი არ არის გამქრალი, პოლიციის პროფესიონალური მუშაობის შედეგია, – განაცხადა ელდარ ქირიამ.

მისი თქმით, ეს იყო საზარელი მკვლელობა.

ელდარ ქირიასთვის უცნობია, რა გახდა მკვლელობის მოტივი. ის ადასტურებს, რომ კუჭავა მისი ოჯახის ნათესავია, გარდაცვლილ ძმასა და კუჭავას შორის რაიმე დავის შესახებ კი არ სმენია.

ნიუპოსტის ინფორმაციით, ბიძინა კუჭავას ზუგდიდში მამიდა ჰყავს, რომელსაც ამ დღეებში მის სახელზე იქ არსებული სახლის ნახევარი უნდა გადაეფორმებინა.

ოჯახი დეტალებზე ინფორმაციას არ ფლობს.

ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილე კობა ქანთარიამაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ქირიას მკვლელობის მოტივი, სავარაუდოდ, სამსახურებრივი არ ყოფილა.

– სავარაუდოდ, მოტივი არ იყო სამსახურებრივი, როგორც ეს ახლობლებისგან გავიგე, თუმცა დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, – აღნიშნა ქანთარიამ.

◆ ◆ ◆

გუშინ საღამოს შსს-მ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ვახტანგ ქირიას მკვლელობაში ბრალდებულია ბიძინა კუჭავა, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეა პერტაიამ განაცხადა, ბინა, რომელშიც იპოვეს ქირიას ცხედარი, ბიძინა კუჭავას ჰქონდა დაქირავებული.

მისივე ინფორმაციით, გამოძიების თანახმად, ვახტანგ ქირიას გვამის დანაწევრების საწყისი ეტაპისთვის დამახასიათებელი კვალი ემჩნეოდა.

რაც შეეხება ბიძინა კუჭავას, შსს-ს ინფორმაციით, მან პოლიციის მიერ დევნის ოპერაციის განხორციელებისას სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამასთან, შსს ხაზს უსვამს, რომ ვახტანგ ქირიასა და ბიძინა კუჭავას ნათესაური და საკმაოდ ახლო კავშირი ჰქონდათ და ჩადენილი დანაშაული შეხებაში არ არის ვახტანგ ქირიას სამსახურებრივ მდგომარეობასთან.

◆ ◆ ◆

გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 13 იანვარს, დაახლოებით 16:15 საათზე, ვახტანგ ქირია სახლიდან გავიდა და მისი ადგილსამყოფელი რამდენიმე დღის განმავლობაში ოჯახის წევრებისთვის უცნობი იყო.

გამორთული იყო მისი კუთვნილი ტელეფონი, არ ჩანდა მისი ავტომანქანა და ვერ ხერხდებოდა მასთან დაკავშირებაც.

ამოღებულ იქნა კვალის ასარევად ქალაქ რუსთავში გადაგდებული ვახტანგ ქირიას მობილური ტელეფონი, დადგენილ იქნა ქირიას ავტომანქანის ბოლო მოძრაობის გრაფიკი, რომელიც მოძრაობდა თბილისში ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტლის მიმდებარედ.

იმ დროისთვის არსებული ინფორმაციის შესაჯერებლად და ზუსტი ადგილის დასადგენად პოლიციის მიერ გადამოწმდა მიმდებარე ტერიტორია, იქ არსებული კორპუსები და მოხდა მცხოვრებთა გამოკითხვა.

– ვახტანგ ქირიას ცხედარი აღმოჩენილ იქნა თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტლის 24-ე კორპუსის ერთ-ერთ დაკეტილ საცხოვრებელ ბინაში, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

მას ხელზე აღენიშნებოდა დაზიანებები და ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობები, ხოლო თავის არეში – ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები.

შემთხვევის ადგილს ემჩნეოდა დანაშაულის დაფარვის მცდელობის კვალიც, კერძოდ, სისხლის კვალის მოსასპობად აბაზანაში დამაგრებული იყო მასის ასაწევად დამაგრებული ე.წ. ტანი და ვახტანგ ქირიას სხეულს ემჩნეოდა მისი დანაწევრებისთვის საწყისი ეტაპის მახასიათებელი კვალი. აქვე იყო ე.წ. ბალგარკა, რომელსაც ემჩნეოდა ადამიანის სისხლის კვალი და მოცულობით დიდი საგნის გადასატანად მოცულობით დიდი ჩანთა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბინა, რომელშიც ვახტანგ ქირიას ცხედარი აღმოჩნდა, ნაქირავები ჰქონდა 1962 წელს დაბადებულ ბიძინა კუჭავას და იქ არსებული ნივთებიც შეძენილი იყო მის მიერვე ელიავას ბაზრობაზე რამდენიმე დღით ადრე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიებას შეექმნა ეჭვი, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო ბიძინა კუჭავას მიერ და დაიწყო აქტიური მოქმედებები ამ უკანასკნელის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით.

მითითებულ პროცესში მიღებულ იქნა შეტყობინება, რომ ბიძინა კუჭავა ორ პირთან ერთად მერსედესის მარკის ავტომანქანით გადაადგილდებოდა საბურთალოდან ორთაჭალის მიმართულებით. რამდენიმე წუთში ავტომანქანა შეაჩერეს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟებმა.

– პოლიციელების დანახვისთანავე ბიძინა კუჭავამ ამოიღო მასზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი და თავის არეში განახორციელა ერთი გასროლა, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

ბიძინა კუჭავას ტანისამოსის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ვახტანგ ქირიას კუთვნილი ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, ხელთათმანები და სამი მობილური, ასევე სხვა ნივთები.

– გამოძიებით დგინდება, რომ კუჭავასა და ქირიას ჰქონდათ ნათესაური და საკმაოდ ახლო კავშირი და ჩადენილი დანაშაული შეხებაში არ არის სამსახურებრივ მდგომარეობასთან. ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად გრძელდება გამოძიება, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

საქმეზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

◆ ◆ ◆

პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობასთან დაკავშირებით ჟურნალისტმა ნინო ჯღარკავამ ფეისბუქზე ასეთი პოსტი გამოაქვეყნა:

– მე ვიცნობდი ბიძინა კუჭავას. ის არ იყო ჩვეულებრივი, მარტივი პიროვნება. მისი საქმიანობა, გარდა საქართველოს ხმისა, უკავშირდება კაზინოს. ის ცნობილი „იგროკი“ იყო.

2007 წელს მცხეთის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში იპოვეს ასევე „იგროკის“, გოჩა მაღალდაძის გვამი.

მკვლელობის ვერსიები მიდიოდა ბიძინა კუჭავასთან, რომელსაც წაგებული 50 ათასი დოლარის გადახდა არ სურდა მოკლულისთვის, თუმცა მაშინ ვერ დაუმტკიცდა ეს მკვლელობა.

ასევე დადიოდა ჭორები, რომ უშიშროების გენერლის თამაზ ნინუას მკვლელობაც თითქოს უკავშირდებოდა ბიძინა კუჭავას, თუმცა იქ მკვლელობაში თამაზ გოგია იქნა ეჭვმიტანილი, რომელიც დღემდე არ აღიარებს მეგობრის მკვლელობას!

და აი დღეს ბიძინა კუჭავა კლავს ნათესავ პროკურორს. აქაც, სავარაუდოდ, ვალი ფიქსირდება, გარბის ქალაქიდან. იგრძნო თუ არა, რომ მის კვალს მისდევდა პოლიცია, მანქანაში ახლობელი ცოლ-ქმრის თვალწინ იღებს იარაღს და იკლავს თავს!

სამწუხარო ისაა, რომ ბიძინა კუჭავას განეიტრალება არ მოხდა 2007 წელს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სერგო რატიანისა და ნუგზარ წიკლაურის გამო ხალხი ტელევიზორებს ამტვრევს“

შორენა მარსაგიშვილი

კარლო კოპალიანი: „ჯარსა და პოლიციას არჩევნების გასაყალბებლად არავინ გამოიყენებს“

შეცვალა თუ არა ხელისუფლებამ საგარეო კურსი, რატომ არაა საშიში რუსული გაზი, რატომ არა აქვს აზრი დახურულ საარჩევნო უბნებს, რითი ხსნიან ხელისუფლებაში ბანკებზე გახშირებულ თავდასხმებს, გამწვავდება თუ არა საარჩევნოდ ვითარება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კარლო კოპალიანი ესაუბრება.

– ოპოზიცია კიდევ ერთხელ ალაპარაკდა „ქართული ოცნების“ მიერ საგარეო კურსის ცვლილებაზე და ამის დასტურად გაზპრომთან დაწყებული მოლაპარაკებები მოჰყავთ. მართლა გადაიხარეთ ჩრდილოეთისკენ?

– ოპოზიციაში თუ ნაციონალებს გულისხმობთ, სასაცილო ამბავია მაშინ ეგ. ერთი მაგათ გაავსეს 16 იანვარს მთავრობის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორია და მეორე ჩვენ გადავიხარეთ ჩრდილოეთისკენ. არანაირი გადახრა და გადმოხრა არ არის, უბრალოდ, საქართველოში ბუნებრივ აირზე მოთხოვნა გაიზარდა და სახელმწიფო ვალდებულია, მოძებნოს ალტერნატიული გზები.

– გაზპრომის გარდა, სხვა ალტერნატივა ვერ მონახა სახელმწიფომ?

– ამ ეტაპზე სხვა ალტერნატივა არ არის, თუმცა სამომავლოდ სხვა პერსპექტივებიც გამოჩნდება. ჯერ ისიც არ ვიცით, გაფორმდება თუ არა რუსულ კომპანიასთან ხელშეკრულება. შეთანხმება თუ შედგა, გარწმუნებთ, ამით საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრება. საგარეო ვექტორის გადახრაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

მინდა ყველამ გაიგოს, რომ სოკარზე უარს არ ვამბობთ და იქიდან იმავე მოცულობის ბუნებრივ აირს მივიღებთ, რამდენსაც აქამდე ვიღებდით. რუსეთიდან სულ რაღაც 20% უნდა მივიღოთ და ამან როგორ უნდა შეცვალოს საგარეო კურსი.

ჩვენთვის იმის დაბრალება, რომ რუსეთისკენ გადავიხარეთ, დიდი უნამუსობაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასოცირების ხელშეკრულება გავაფორმეთ და მალე ევროპაში უვიზოდ წავალთ. ჩვენ მიერ საგარეო კურსის ცვლილებაზე რომ დაიწყებენ საუბარს, 2008 წლის აგვისტოს ბოლოც გაიხსენონ.

– რა მოხდა 2008 წლის აგვისტოს ბოლოს?

– 8 აგვისტოს ომი წააგეს და 20 აგვისტოს ენგურჰესს აძლევდნენ რუსებს. ყველა სტრატეგიული ობიექტი დღეს რუსეთის საკუთრებაშია. ისინი მათ ხელში ნაციონალურმა მოძრაობამ ჩააგდო. ასე რომ, მათგან შენიშვნებს არ მივიღებთ. მათ მეტს ამ თემაზე დიდი აჟიოტაჟი არც აუტეხიათ.

– როგორ არ ატეხეს, თავისუფალი დემოკრატებიც აღშფოთებული არიან და ენერგეტიკის მინისტრისგან განმარტებებს ითხოვენ.

– თავისუფალ დემოკრატებზე ბევრს არაფერს ვიტყვი.

– რატომ არაფერს იტყვით, რადგან ცოტა ხნის წინ ერთი გუნდი იყავით?

– თავისუფალმა დემოკრატებმა ჩვენზე ბევრი ცუდი რამე თქვეს, მაგრამ მე ამას არ ვიკადრებ. ყველაფრის მიუხედავად, ამ ადამიანებს მაინც დიდ პატივს ვცემ. კარგად მახსოვს, რომ 2012 წელს ერთად ვიყავით ომში და ერთად მოვიგეთ ის ომი.

მათ ძალიან კარგად იციან, რომ გაზპრომთან მოლაპარაკებები ქვეყნის საგარეო კურსს არ შეცვლის, მაგრამ მაინც სვამენ კითხვებს, ეტყობა, პოლიტიკური ქულების დაწერა სურთ. სხვა პარტიებისგან ეს არ გამიკვირდებოდა, მაგრამ მათგან მართლა მიკვირს.

– პოლიტიკური ქულების დაწერა ახსენეთ და ეს მოლაპარაკებები არჩევნების შედეგზე არ იმოქმედებს? თითქმის ყველა პარტია ამ საკითხზე საუბრობს და „ქართული ოცნების“ გმობა მიმდინარეობს.

– მე კარგად მესმის იმ ხალხის, რომლებსაც რუსეთი გულწრფელად არ უნდათ, მაგრამ ის უფრო ცუდი არ იქნება, თუ ენერგოდეფიციტი შეიქმნება? ეს თუ მოხდება, მერე მართლაც გაგვიწყრება მოსახლეობა. რამდენიც უნდათ, იმდენი იყვირონ ნაციონალებმა, ჩვენ მოსახლეობას სიცივეში ვერ ვამყოფებთ. ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელსაც არჩევნების წელსაც არ ეშინია არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღების.

– თქვენც აღიარებთ, რომ გაზპრომთან მოლაპარაკება არაპოპულარულია?

– ცხადია, არაპოპულარულია, მაგრამ ქვეყნისთვის აუცილებელია. იმედი მაქვს, მოსახლეობა ამას და ქვეყანაში შექმნილ ვითარებას კარგ ანალიზს გაუკეთებს და არჩევნებზე სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს.

– ქვეყანაში მომატებულ კრიმინალს რა ანალიზი შეიძლება გაუკეთოს ამომრჩეველმა?

– ვერ დაგეთანხმებით, რომ ქვეყანაში კრიმინალის მატებაა. დანაშაული, სამწუხაროდ, ყველა ქვეყანაში ხდება.

– თუმცა ყველა ქვეყანაში არ ესვრიან და არ ხოცავენ პროკურორებს, ამ დღეებში კი საქართველოში ასეთი ფაქტები დაფიქსირდა.

– პროკურორის მკვლელობასთან დაკავშირებით წინასწარ დასკვნებს ნუ გავაკეთებთ. ამაზე სათანადო ორგანოები მუშაობენ და დასკვნას დადებენ. ის ფაქტი, რომ პროკურორს ესროლეს, იმაზე მიუთითებს, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები კარგად მუშაობენ და კრიმინალური სამყარო შეშფოთდა.

სხვა მხრივ ამ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება არ გაუარესებულა. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც. ამას თავი დავანებოთ, მოსახლეობა მშვიდად დადის ღამით ქუჩაში.

– ბანკების დაყაჩაღებაზე რას გვეტყვით? ნორმალურია, დღისით, მზისით ბანკებს რომ აყაჩაღებენ?

– ნორმალური როგორ არის? სამწუხაროდ, არ არსებობს ქვეყანა, სადაც დანაშაული არ ხდება. ამ მხრივ არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. რაც მთავარია, პოლიცია სათანადო რეაგირებას ახდენს და დამნაშავეებსაც აკავებს.

ჩვენი ოპონენტები ცდილობენ, სურათი უფრო ტრაგიკულად დახატონ. საარჩევნოდ კიდევ უარესად წარმოაჩენენ ვითარებას, მაგრამ ხალხი ყველაფერს მიხვდება.

– არჩევნები ვახსენეთ და ოპოზიცია ჩივის, ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად ემზადებაო.

– რაზე ატყობენ, რომ არჩევნების გასაყალბებლად ვემზადებით? შესაძლებელია, საკუთარი გადმოსახედიდან მსჯელობენ. ნაციონალებს არჩევნების სხვანაირად ჩატარება ვერ კი წარმოუდგენიათ.

– ისინი განსაკუთრებულ აქცენტს დახურულ უბნებზე აკეთებენ. შუალედურ არჩევნებზე შარშანაც იქნა გამოყენებული ეს მეთოდი და ახლა გარდაბანშიც გახსნეს, სადაც იანვრის ბოლოს გამგებლის არჩევნები ჩატარდება.

– დახურული უბნები არჩევნების გასაყალბებლად არავის გაუხსნია. საქართველოში სულ 35.000 სამხედრო მოსამსახურეა და მთელ არჩევნებზე ეს როგორ იქონიებს გავლენას. სამხედროებმა ძალიან კარგად იციან, თუ ვის უნდა მისცენ ხმა და მათ არავინ არაფერს დააძალებს.

– რას ნიშნავს, სამხედროებმა კარგად იციან, ვის უნდა მისცენ ხმა?

– იმას ნიშნავს, რომ ისინი ყველაზე უკეთესად ხედავენ, რა ვითარებაა ჯარში, იმასაც ხვდებიან, ვინ მოიტანა ასეთი სიტუაცია. ასე რომ, არჩევნებზე ისინი სხვების კარნახის გარეშე მიიღებენ გადაწყვეტილებას. პალიკო კუბლაშვილსა და პეტრე ცისკარიშვილს ტყუილად ჰგონიათ, რომ ჯარი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„უკრაინაში მაღალ თანამდებობაზე მყოფ ქართველებს მოქალაქეობა ჩამოერთმევათ“

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში მიხეილ უკლება უკრაინულ მედიასთან ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეობა უკრაინაში დასაქმებულ სხვა ქართველებსაც ჩამოერთმევა.

ჟურნალისტის კითხვაზე, ჩამოერთმევათ თუ არა მოქალაქეობა უკრაინაში ხელისუფლებაში მყოფი სხვა ქართველებსაც, ელჩმა უპასუხა – „აუცილებლად“.

მიხეილ უკლება:

– საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ წერია, რომ საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია, იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქე იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა სახელმწიფოს წინაშე არსებული დამსახურების გამო ენიჭება. მოქალაქეობის შეწყვეტის და მიღების პროცედურები გაწერილია კანონში „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეობას კარგავს პირი, რომელიც სხვა ქვეყნის მოქალაქე ხდება.

ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილთან მიმართებაში საქმე გვაქვს კონსტიტუციისა და კანონის ნორმების აღსრულებასთან. გუბერნატორად მისი დანიშვნის შემდეგ ჩვენ უკრაინულ მხარეს მივმართეთ და მათ შეგვატყობინეს, რომ მან მიიღო უკრაინის მოქალაქეობა, რის შემდეგაც მას შეუწყვიტეს საქართველოს მოქალაქეობა. ახლა იგივე პროცედურა მიმდინარეობს სხვა პირებთან მიმართებით.

◆ ◆ ◆

ამასთან, უკლება აღნიშნავს, რომ თუ ეს პირები მომავალში თხოვნით მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტს, იგი აუცილებლად განიხილავს მათთვის მოქალაქეობის დაბრუნების საკითხს.

ნიუპოსტი

ირაკლი ღლონტი: „პოლიციას არჩევნებისთვის ამზადებენ“

„რეფორმატორების“ თავმჯდომარე შს ორგანოებში განხორციელებულ მასშტაბურ საკადრო ცვლილებებს ეხმაურება და მიიჩნევს, რომ რეორგანიზაცია მიმართულია მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში ძალოვანი სამსახურების უკანონოდ ჩასართავად.

– კრიმინალური ფაქტების სიმრავლისგან გამომდინარე შს ორგანოების რეორგანიზაციის აუცილებლობა ცალსახად იკვეთებოდა ამ ხნის განმავლობაში, თუმცა ხელისუფლებას აქამდე ყოველთვის ჰქონდა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და ცინიკურად მოგვიწოდებდნენ, მომეტებულ კრიმინალს მოვკიდებოდით გაგებით. მიმაჩნია, რომ დღეს განხორციელებული მასშტაბური საკადრო ცვლილებები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაიგეგმა ერთადერთი მიზნით, რომ საარჩევნო წელს პოლიტიკურად გაკოტრებულმა ხელისუფლებამ, წინამორბედების მიერ დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკის მსგავსად, ძალოვან უწყებებთან ერთად უკანონოდ დააორგანიზოს არჩევნები. – ნათქვამია ღლონტის განცხადებაში.

ნიუპოსტი

ე.წ. ღორის გრიპით 39 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

თბილისში ე.წ. ღორის გრიპის ვირუსით 39 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განუცხადა, პაციენტი თბილისში დასავლეთ საქართველოდან გადმოიყვანეს. მისი თქმით, მამაკაცის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო.

ამასთან, როგორც იმნაძე განმარტავს, ეპიდემიის საფრთხე საქართველოში არ არის.

– მატებას ველოდებით თებერვლიდან, თუმცა ისეთს არა, რომ ეპიდემიურ ზღვარს მივუახლოვდეთ, – განაცხადა იმნაძემ.

აღნიშნული ვირუსით პაციენტი გასულ კვირას გარდაიცვალა.

ინტერპრესნიუსი

ზუგდიდში მძღოლების აქციაზე ფიზიკური დაპირისპირება მოხდა

ზუგდიდის ავტოსადგურში მიკროავტობუსების მძღოლების საპროტესტო აქცია გაიმართა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, გაფიცული არიან ზუგდიდი-თბილისისა და სხვა ქალაქების მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსების მძღოლები.

აქციის მონაწილეები ზუგდიდში თურქული სატრანსპორტო კომპანია „მეტროს“ შესაძლო შემოსვლას აპროტესტებენ. მძღოლები შიშობენ, რომ თუ თურქული კომპანია ზუგდიდში შემოვა, სამსახურს დაკარგავენ, რომელიც მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

აქციაზე სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა გაფიცულ მძღოლებსა და ავტოსადგურის დისპეტჩერს შორის, რომელმაც მძღოლებს აქციის შეწყვეტისა და მუშაობის გაგრძელებისკენ მოუწოდა. სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა და აქციის ერთი მონაწილე ზუგდიდის პოლიციის სამმართველოში დაკითხვაზე გადაიყვანეს.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

კოალიციაში დაბრუნების სანაცვლოდ ალასანიამ წულუკიანის გადაყენება მოითხოვა

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ გუნდში უკვე ღიად აცხადებენ, რომ „ქართულ ოცნებას“ შესაძლოა რამდენიმე ახალი სუბიექტი დაემატოს. მართალია, თავისუფალი დემოკრატები ცივ უარზე არიან, მაგრამ ექსპერტთა ნაწილი მაინც ჯიუტად ამტკიცებს, რომ ისინი შესაძლოა კოალიციაში კიდევ ერთხელ ვიხილოთ.

კულუარული ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე შედგა მოლაპარაკებები. როგორც ამბობენ, დიალოგი ჯერ პირველი პირების დონეზე არ შემდგარა, მაგრამ, საჭირო თუ გახდა, ერთმანეთს ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ალასანიაც შეხვდებიან.

ივანიშვილამდე ქვეყნის მთავარი თავისუფალი დემოკრატი, სავარაუდოდ, პრემიერს შეხვდება. ირაკლი ღარიბაშვილისგან განსხვავებით, ალასანიას ხალხს გიორგი კვირიკაშვილი აშკარად ესიმპათიურება. წინამორბედისგან განსხვავებით, არც კვირიკაშვილი აყრის მათ ქოქოლას.

ძველი კავშირების აღსადგენად მხოლოდ ეს მსუბუქი კეთილგანწყობა საკმარისი არ არის. როგორც „ახალ თაობას“ სარწმუნო წყარომ აცნობა. დაბრუნების სანაცვლოდ ალასანიამ მეოცნებეებს ერთი პირობა წაუყენა. ის იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის გათავისუფლებას ითხოვს.

არადა, 2014 წლის ოქტომბრამდე ისინი ერთ გუნდს წარმოადგენდნენ.

მათ შორის ურთიერთობა თავდაცვის მინისტრობიდან ირაკლი ალასანიას გადაყენების შემდეგ გამწვავდა. ლიდერს თითქმის ყველა თანამებრძოლმა გამოუცხადა სოლიდარობა. მაია ფანჯიკიძემ და ალექსი პეტრიაშვილმა თანამდებობები დატოვეს. საპარლამენტო უმრავლესობა დატოვეს ალასანიას თანაპარტიელებმა, თეა წულუკიანი კი იუსტიციის მინისტრის პოსტზე დარჩა.

მან ყველაზე თავისუფალი დემოკრატი კიდევ ბევრჯერ გაანაწყენა. მისი მისამართით წულუკიანმა არაერთი მწვავე რეპლიკა იხმარა. ალასანია კი წყენასა და ღალატს ასე იოლად არ ივიწყებს და რა გასაკვირია, რომ კოალიციაში დაბრუნების სანაცვლოდ მის გადაყენებას ითხოვდეს.

ამ მოლაპარაკებებს თავისუფალი დემოკრატები არ ადასტურებენ. თავის დროზე ისინი იმასაც უარყოფდნენ, რომ დავით ზალკალიანი მათი პარტიიდან წავიდოდა, მაგრამ ის პარტიიდანაც წავიდა და ახლა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეც არის.

ხმები თავისუფალი დემოკრატების კოალიციაში დაბრუნების შესახებ მინისტრის მოადგილედ ზალკალიანის დანიშვნის შემდეგ გავრცელდა.

მანამდე იმაზე საუბრობდნენ, რომ ალასანიას პარტია ეშლებოდა.

ამის მიზეზად ალასანიასა და ნაციონალების შესაძლო თანამშრომლობა სახელდებოდა. გასულ წელს ისინი საეჭვოდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რამაც თავისუფალი დემოკრატების ერთი ნაწილი საშინლად გაანაწყენა. ყველაზე მეტად, როგორც ამბობენ, დეპუტატები გია ცაგარეიშვილი, ზურაბ აბაშიძე და ვიქტორ დოლიძე აღშფოთებულან.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ყოფილი პარტნიორების დაბრუნებაზე გადაჭრით ვერაფერს ამბობენ და მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ პოლიტიკაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

რაც შეეხება თავისუფალ დემოკრატებს, ისინი ახლა ამბობენ, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას. მათ იმედი აქვთ, რომ კოალიციიდან რამდენიმე განაწყენებული მეოცნებე შეიძლება შეუერთდეთ.

ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ ალასანიელებმა შესაძლოა კოალიციიდან წამოსულ ერთ-ერთ პარტიასთან შექმნან ალიანსი.

ყველა რატომღაც მიიჩნევს, რომ კოალიციას რესპუბლიკელები დატოვებენ. მათი პოლიტიკური მადა უკვე ყველას აღიზიანებს, მაგრამ მათ ივანიშვილი ჯერ ისევ მოწყალე თვალით უყურებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიაში ისინი ისევ მოხვდებიან. თამაზ მეჭიაურის თქმისა არ იყოს, ვინც ფულს იხდის, სიასაც ის ადგენს, კოალიციის დამფინანსებელი კი სწორედ ის კაცია.

როგორც ამბობენ, რესპუბლიკელებზე არანაკლები მადა გასჩენიათ ეროვნულ ფორუმსა და მრეწველებს. იმ შემთხვევაში, თუ ფორუმი კოალიციიდან წამოვა, ის ალასანიელებთან, ალბათ, უპრობლემოდ ითანამშრომლებს.

მრეწველებთან კი ცოტა გაჭირდება საერთო ენის გამონახვა. ალასანიას საჯაროდ აქვს პირობა დადებული, ანტინატოური განწყობის გამო თოფაძის ლუდს პრინციპულად არ დავლევო, თუმცა პოლიტიკა ისეთი რამეა, საჭირო თუ გახდა, პარტიის ლიდერი თოფაძის ლუდს კი არა, მის ლიმონათში გარეულ ცივ ჩაისაც დალევს.

ალასანიელებზე გული დიდად არც მრეწველებს მისდით. იმ შემთხვევაში, თუ კოალიციაში სათანადო ადგილს ვერ მონახავენ, ისინი ჩერნოვეცკისთან აპირებენ გაბედნიერებას. ამ ინფორმაციას ოფიციალურად არავინ ადასტურებს, მაგრამ, როგორც ამბობენ, პირველი კომუნიკაციები უკვე დამყარებულია.

რაზე ესაუბრა პრემიერი გუბერნატორებს

რეგიონებში არსებული პრობლემები და მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორების სამუშაო შეხვედრაზე.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, ყურადღება გამახვილდა თითოეული რეგიონის საინვესტიციო პოტენციალზე, რეგიონების განვითარების პერსპექტივებზე, ინვესტიციების მოზიდვის გზებზე, რამაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა უზრუნველყოს.

საუბარი შეეხო რეგიონის მოსახლეობის პირველად საჭიროებებს, მათ შორის გაზიფიცირების, გზებისა და სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის პროექტებს. პრემიერის განცხადებით, ხელისუფლების მიზანს წარმოადგენს ყველა ოჯახის უზრუნველყოფა სასმელი წყლით და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე ხაზი გაუსვა ახალგაზრდობის პრობლემებზე ზრუნვის მნიშვნელობასა და რეგიონის ახალგაზრდობის ჩართულობის აუცილებლობას ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პროცესებში.

პრემიერ-მინისტრმა მოისმინა გუბერნატორების მოსაზრებები და წინადადებები სამომავლო გეგმების შესახებ, სამუშაო ფორმატთან დაკავშირებით და სახელისუფლებო შტოებთან კომუნიკაციის გაძლიერებაზე.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას დაესწრნენ: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ეკონომიკური საბჭოს მდივანი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

მედიანიუსი

ევროპარლამენტი საქართველოს შესახებ რეზოლუციას 21 იანვარს მიიღებს

20 იანვარს სხდომაზე მოხსენებით საგარეო ურთიერთობებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ფედერიკა მოგერინი წარდგება.

18-19 იანვარს სტრასბურგში ევროპარლამენტის პლენარული სესია გაიმართება. 20 იანვარს სხდომაზე მოხსენებით საგარეო ურთიერთობებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ფედერიკა მოგერინი წარდგება. სესიაზე რეზოლუციის მიღებაც მოხდება, რომელიც საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროგრესს განიხილავს და პოლიტიკურ, სასამართლო და სხვა რეფორმების მიმდინარეობას შეეხება.

ევროპარლამენტის რეზოლუცია არასავალდებულო ხასიათისაა, თუმცა ინტეგრაციული პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის პოლიტიკური შეფასების თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობის მატარებელია. ეს იქნება პირველი რეზოლუცია, რომელსაც ევროპარლამენტი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ყველა ქვეყნის მიერ რატიფიცირების შემდეგ მიიღებს.

ნიუპოსტი

„სერგო რატიანისა და ნუგზარ წიკლაურის გამო ხალხი ტელევიზორებს ამტვრევს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მისცემს ხმას. სამხედროები მხარს იმას დაუჭერენ, ვინც მართლა ზრუნავს ჯარზე.

არც ჯარსა და არც პოლიციას არჩევნების გასაყალბებლად არავინ გამოიყენებს. ჩვენს ოპონენტებს, განსაკუთრებით ნაციონალებს, ვურჩევ, დემაგოგიას თავი დაანებონ. მაგათი არავის სჯერა და აღარც მომხრეები დარჩათ.

– ჩვენს მომხრეებს საგაზაფხულო აქციებზე ნახავთო, ასე ამბობენ ნაციონალები.

– გაზაფხულზეო, ხომ? ერთი 2 დღის წინ გამოიყვანეს ხალხი და მეორე გაზაფხულზე მოაგროვებენ მხარდამჭერებს, მართალია, მათი ერთი სიტყვისაც არ მჯერა, მაგრამ მაგათიც კარგად მესმის, ყველაფერს აკეთებენ, რომ პოლიტიკაში დარჩნენ.

ჩემი კეთილი რჩევა იქნება, ახლავე შეეგუონ წაგებას. 2016 წლის არჩევნებზე ეგენი საერთოდ გაქრებიან პოლიტიკური ასპარეზიდან. ამას თავადაც გრძნობენ და ამიტომაც არიან ასეთი გაცხარებულები.

– ისინი პირიქით ამბობენ, ამტკიცებენ, ხელისუფლების გადაბარება უკვე დაწყებული გვაქვსო.

– რა უნდა გადაიბარონ, სადაცაა, საერთოდ გაქრებიან. ამ უაზრო ლაპარაკს ის ურჩევნიათ, თავიანთი შეცდომები აღიარონ და დანაშაული მოინანიონ.

– შეცდომებზე ამბობენ, ვაღიარეთო.

– რა აღიარეს, კაცო! პარლამენტში ვარ და ყოველდღე მათ უმსგავსობას ვუყურებ. იმ დღეს გამოვიდა სერგო რატიანი და უსირცხვილოდ განაცხადა, დღევანდელი ხელისუფლება პატიმრებს აწამებსო. არ უნდა გადაირიო, ნაციონალები პატიმრების წამებას რომ დაგაბრალებენ? ათასობით ჩანაწერი არსებობს, რა არაადამიანური ფორმებით აწამებდნენ პატიმრებს.

უსირცხვილოები კიდევ, იცით, რატომ არიან? იციან, რომ პატიმრები ახლა კარგ პირობებში გვყავს და მაინც ბევრს ლაპარაკობენ. მათმა ბელადებმა, ახლა რომ ციხეში სხედან, ლამისაა კომპიუტერები მოითხოვონ, ტელევიზორები უკვე აღარ აკმაყოფილებთ.

– პატიმრების თემაზე რადგან ვსაუბრობთ, როგორც ამბობენ, პატიმრების სიკვდილიანობამ იმატა.

– დანაშაულისა არ იყოს, სამწუხაროდ, არც პატიმრების სიკვდილიანობისგან არის დაზღვეული რომელიმე ქვეყანა. ასეთი ფაქტები არის, მაგრამ, რაც ადრე იყო, იმისგან ღმერთმა დაგვიფაროს.

– ბოლო პერიოდში ძალიან აქტუალური გახდა პოლიტპატიმრების თემა. ამ სტატუსით გათავისუფლებულმა ვაჰაგან ჩახალიანმა საქართველოს სასამართლოში უჩივლა. ამაზე რას გვეტყვით, შეცდომა ხომ არ იყო ამდენი ადამიანისთვის ამ სტატუსის მინიჭება? რამდენიმე მათგანის შეწყალებას იმ დროს შს მინისტრის პოსტზე მყოფი ირაკლი ღარიბაშვილიც კი ეწინააღმდეგებოდა.

– პოლიტპატიმრის სტატუსი 200-მდე ადამიანს მივანიჭეთ. ეს აქტი იყო დასტური იმისა, რომ წინა ხელისუფლებას პოლიტპატიმრები ჰყავდა, რაც დემოკრატიული ქვეყნისთვის დამახასიათებელი არ არის. არ გამოვრიცხავ, რომ ამდენ ადამიანში ვიღაც გაგვეპარა და არ იმსახურებდა პოლიტპატიმრის სტატუსს, მაგრამ ეს იმ ჰუმანურ აქტს სულაც არ აყენებს ზიანს.

არ მიკვირს, რომ ამ თემაზე ასეთი განგაში და ხმაური აქვთ ატეხილი. ახლა ყველანაირად შეეცდებიან, ყველა გასვარონ, ვინაიდან არ სურთ იმის აღიარება, რომ ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით აპატიმრებდნენ. განსხვავებული მოსაზრება რომ მქონდა, ამიტომ დამადეს 2011 წელს ბორკილები. არადა, მაშინ პარლამენტის წევრი ვიყავი.

– „ქართული ოცნება“ ხშირად იწონებს თავს იმით, რომ პოლიტპატიმრები გაათავისუფლეთ, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ თქვენც აპატიმრებთ ხალხს პოლიტიკური ნიშნით.

– რა სისხლისმსმელი ხელისუფლება ვართ, არა? რას ნიშნავს, პოლიტპატიმრები გვყავს?! ამას გაიძახიან ნუგზარ წიკლაური და სერგო რატიანი. მათ მოსაზრებას კი ვერაფრით დავეთანხმები.

– რადგან არ გიყვართ წიკლაური და რატიანი, ამიტომ არ ეთანხმებით?

– რას ნიშნავს, მე არ მიყვარს? ის ხალხი მანახეთ, ვისაც ეგენი უყვარს. კაცმა არ იცის, რამდენი ტელევიზორი გატყდა საქართველოში მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ეგენი გამოჩნდნენ. ამ მხრივ სტატისტიკური მონაცემების მოძიება საინტერესო იქნება.

– ტელევიზორებს მარტო წიკლაურისა და რატიანის გამოჩენის გამო ამტვრევენ?

– რატომ მარტო მაგათ გამო? ჩიორაზე, გგონიათ, ნაკლები ამბები ტრიალებს? ამ უტიფრებმა სულ გადარიეს ხალხი.

– მოდით, ისევ პოლიტპატიმრების თემას დავუბრუნდეთ. გყავთ თუ არა პოლიტპატიმრები?

– არა! ნაციონალები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ვანო მერაბიშვილს, გიგი უგულავასა და ბაჩო ახალაიას ეს სტატუსი მიანიჭონ. პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისასაც აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, რომ ისინი არიან კრიმინალები და არა – პოლიტპატიმრები.

სოსო ცინცაძე: „ხადურის მოხსნა არ შეიძლება“

ნათია ხურცილავა

„კვირიკაშვილს აუცილებლად უნდა ჰყავდეს თავისი გუნდი“

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ აუცილებელია მინისტრთა კაბინეტის გადახალისება, რადგან ახალ პრემიერ-მინისტრს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მის მიერ დაკომპლექტებულ მინისტრთა კაბინეტთან იმუშაოს.

სოსო ცინცაძე:

– საკადრო ცვლილებები არათუ მომწიფებულია, კაბინეტის განახლება სასწრაფო წესით არის საჭირო. უკვე ამბობენ, ვინ შეიძლება შეიცვალოს და მათი შემცვლელებიც უკვე დასახელდნენ, ცხადია – არაოფიციალურად. მე ვეთანხმები ამ ცვლილებებს, გარდა ერთისა – არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ფინანსთა მინისტრ ხადურის შეცვლა.

– რატომ?

– შეუძლებელია, ხალხში პოპულარული იყოს ფინანსთა მინისტრი ეროვნული ვალუტის კურსის ფონზე, მაგრამ, ასე თუ ისე, მთელ მთავრობაში ხადური არის ერთადერთი პროფესიონალი, მეცნიერი, ამ დარგის სპეციალისტი. ის ჩემი არც ნათესავია, არც ახლობელი და მეგობარი, ვინმემ რამე რომ დამწამოს.

– აბა, ვინ არის შესაცვლელი?

– პირველი, ვინც შესაცვლელია, არის მეცნიერებისა და განათლების მინისტრი. დღეს მეცნიერებასა და განათლებაში კატასტროფული მდგომარეობაა. განათლების მინისტრი არ შეიძლება იყოს ბუღალტერი, რომელიც უშეცდომოდ ორ წინადადებას ვერ ამბობს ქართულად. მეცნიერებაში ახალი ერა დადგა მთელ მსოფლიოში, ჩვენ კი ქვის ხანისკენ მივდივართ.

მე ვურჩევდი პრემიერ-მინისტრს, რომ ორი სამინისტრო, რომლებსაც ვინახავთ ბიუჯეტის ხარჯზე, გაუქმდეს. შერიგებისა და დიასპორის სამინისტროებს ვგულისხმობ.

– თქვენ ამბობთ, რომ ეს სამინისტროები საჭირო არ არის?

– ვერ ამოვხსენი საიდუმლოება, თუ რა დაემართა პაატა ზაქარეიშვილს, რომელიც სწორად აკრიტიკებდა წინა ხელისუფლებას ამ სფეროში, რომელსაც ასევე თითქოს აფხაზებთან მისასვლელი საგზაო რუკაც კი ეჭირა ხელში, მაგრამ მოვიდა ხელისუფლებაში და თვითონ უარესი კვაზი ჩინოვნიკი აღმოჩნდა.

– ოკუპირებულ ტერიტორიებს ზაქარეიშვილი ხომ ვერ დააბრუნებდა.

– რომელ ტერიტორიების დაბრუნებაზეა საუბარი! გასაგებია, რომ ეს შორეული პერსპექტივაა, მე ზაქარეიშვილის ადეკვატურ განცხადებაზე ვსაუბრობ, რომელიც ვერ მოვისმინე მისგან. მისი ყველა განცხადება ხელისუფლებისთვის ანტირეიტინგულია. ხანდახან ვფიქრობ, რა ჯადო აქვს ამ სავარძელს ასეთი, რომ ადამიანები ასე იცვლებიან.

– რას იტყვით კულუარებში დასახელებულ შემცვლელებზე? მაგალითად, ეკონომიკის მინისტრის პოსტზე ლაშა აბაშიძე შეიძლება განიხილებოდეს.

– ლაშა აბაშიძე როგორი ეკონომისტია, ჩვენ არ ვიცით, მას ამის გამოვლენის შესაძლებლობა არ ჰქონდა, თუმცა ერთი რამე აშკარაა – ამ ახალგაზრდა კაცის კარიერული ზრდა გეომეტრიული პროგრესიით ხდება, რა დამსახურებისთვის, ვერ გეტყვით, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სიმპათიური გარეგნობა აქვს. შეიძლება აქვს რაღაც პოტენციალი და საზოგადოებამ არ იცის, ვერ გეტყვით, მაგრამ მას დიდად თავი არ დაუმახსოვრებია ხალხისთვის. ვნახოთ, თუ დანიშნავენ, როგორი ეკონომიკის მინისტრი იქნება.

– კულტურის მინისტრის ცვლილებაზეც არის საუბარი.

– კულტურის მინისტრად იმპრესარიო დაგვინიშნეს. ეს იყო გაუგებრობა. მსოფლიოში ეს არსად მომხდარა. კულტურა არ ნიშნავს უცხოეთიდან მომღერლების ჩამოყვანას. ეს არ არის კულტურის მინისტრის საქმე.

– რას მოიტანს ეს ცვლილებები და იქნება ეს პრემიერის პირადი გადაწყვეტილება?

– ვერ გეტყვით, იქნება თუ არა ახალი კაბინეტი პრემიერ კვირიკაშვილის მიერ პირადად დაკომპლექტებული, მაგრამ, ეს რომ ასე უნდა იყოს, ორი აზრი არ არსებობს. პრემიერს უნდა ჰყავდეს თავისი გუნდი, ის ადამიანები, რომლებსაც ენდობა და რომლებსაც პასუხს მოსთხოვს.

ზოგადად ქვეყანაში არასწორ საკადრო სელექციას აქვს ადგილი. ბიძინა ივანიშვილის მიერ შემოთავაზებულმა რომელმა კადრმა გაამართლა?! ივანიშვილმა გვითხრა, ჩემზე კარგი პრემიერი გამოდგა ღარიბაშვილიო. თუ ასე იყო, რატომ შეცვალეს?

დღეს პრიორიტეტი ბანკირებს ენიჭებათ, მსოფლიო პრაქტიკაშიც იყო მსგავსი შემთხვევა, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში რუზველტი ძალიან მნიშვნელოვან თანამდებობებზე ბანკირებს ნიშნავდა, მაგრამ მისი ბანკირები კერძო სექტორში მილიონებზე ამბობდნენ უარს და სახელმწიფო სამსახურში მიდიოდნენ ბევრად ნაკლებ ანაზღაურებაზე.

ამის მაგალითია სახელმწიფო მდივანი შულცი. შულცი იყო უდიდესი სამშენებლო კომპანიის პრეზიდენტი, რომელიც მთელ საუდის არაბეთს აშენებდა. წლიური ხელფასი მას მილიონ 300 ათასი დოლარი ჰქონდა, ეს სამსახური მიატოვა და წელიწადში 60 ათასს დოლარს დასჯერდა. ეს ადამიანები მართლა ქვეყნის სამსახურის სურვილით მიდიოდნენ და არა – გამდიდრებისა და კომფორტისთვის.

მთელ მსოფლიოში სახელმწიფო სამსახური კერძო სექტორზე ნაკლებად ანაზღაურებადია და იქ არავინ მიდის. ჩვენთან პირიქით არის.

– თუ მინისტრთა კაბინეტი განახლდა, შეიძლება, ეს არჩევნებს უკავშირდებოდეს?

– რასაკვირველია. რაც უფრო მეტი სიძნელე ელის მმართველ პარტიას არჩევნებში, მით უფრო ცდილობს ის საკადრო ცვლილებების გატარებას. მიუხედავად ამისა, ეს ცვლილებები აუცილებლად უნდა მოხდეს და ახალ პრემიერს თავისი გუნდი უნდა ჰყავდეს.

ილია მეორე: „ცხოვრება გამოცდაა“

„კაცობრიობას განსაკუთრებით აწუხებს ვნებები, უსიყვარულობა, შფოთი, უნდობლობა“

– კაცობრიობას განსაკუთრებით აწუხებს ვნებები, უსიყვარულობა, შფოთი, უნდობლობა და ეს ადამიანს ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია, – ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას განაცხადა და აღნიშნა, რომ ყოველივე ეს არის არა ბუნებრივი მოვლენა, არამედ ბრძოლა ბოროტთან.

ილია მეორე:

„დღეს ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, რამდენად რთულია ჩვენი ცხოვრება და როგორ შეიძლება დავძლიოთ სირთულეები. სირთულე შეიძლება მრავალი სახის იყოს – როცა ადამიანი ვერ ხედავს თავის თავს, როცა ადამიანი თვლის, რომ უარყოფითი მოქმედებანი, რომელსაც ის აკეთებს, ეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენაა. განსაკუთრებით აწუხებს კაცობრიობას ვნებები, უსიყვარულობა, შფოთი, უნდობლობა და ეს ადამიანს ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია. ეს ბუნებრივი მოვლენა არ არის. ეს არის ბრძოლა ბოროტთან. ამიტომ ყოველდღე უნდა აკურთხოთ ნაკურთხი წყლით თქვენი ოთახები, სახლი, ეზო და აკმიოთ საკმეველი, რათა ბოროტი ძალა თქვენს სახლში არ შემოვიდეს.

◆ ◆ ◆

მისივე თქმით, ცხოვრება მართლა გამოცდაა და ბედნიერია ადამიანი, რომელიც ამ გამოცდას ღირსეულად შეხვდება.

პატრიარქის განცხადებით, გამოცდა მრავალი სახისაა და განსაკუთრებით იმ ადამიანს შეიძლება შეხვდეს, რომელიც სიკეთეს აკეთებს.

ილია მეორე:

– ჩვენი ცხოვრება განსაცდელით არის სავსე. წმინდა იობი, რომელმაც დიდი განსაცდელი და წამება გამოიარა, სვამს კითხვას: გამოცდა ხომ არ არის ჩვენი ცხოვრებაო?! ცხოვრება მართლაც გამოცდაა. ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ამ გამოცდას ღირსეულად შეხვდება. გამოცდა მრავალი სახისაა და განსაკუთრებით იმ ადამიანს შეიძლება შეხვდეს, რომელიც სიკეთეს აკეთებს, რადგან ეშმაკს მისი შურს.

პატრიარქი მორწმუნეებს მიმართავს, არ შეუშინდნენ ბრძოლას და ბრძოლის დროს ყოველთვის ჰქონდეთ უფლის იმედი.

– ღვთის მადლი და ძალა მოგვცემს ძალას, გავუმკლავდეთ ბრძოლას, – მიმართა მრევლს პატრიარქმა.

ქადაგების დასასრულს ილია მეორემ რამდენიმე სასულიერო პირი დაჯილდოვა, ასევე დალოცა შემდეგი გვარები: ძამისტარიშვილები, გარუჩავები და ემხვარები.

პატრიარქმა ავღანელთა 43-ე ბატალიონიც დალოცა. ილია მეორემ მრევლს ნათლისღების დღესასწაულისთვის მომზადებისკენ მოუწოდა.

ინტერპრესნიუსი

ე.წ. კაბელების საქმეზე მორიგი პროცესი გაიმართება

ე.წ. კაბელების საქმეზე დღეს, 18 იანვარს, მორიგი პროცესი გაიმართება. ბრალდებულების ადვოკატები პროცესზე იმ დოკუმენტის მტკიცებულებად დაშვებას მოითხოვენ, რომელიც წინასასამართლო სხდომაზე თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკმა, მოწმე თემურ მირიანაშვილმა წარმოადგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბრალდებულების ადვოკატმა ლევან სამუშიამ განუცხადა, ამ დოკუმენტით მტკიცდება, რომ „სილქნეტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით მისი დაცვის ქვეშ მყოფებმა დიდი ოდენობის სახელმწიფო თანხები დაზოგეს. ადვოკატის განმარტებით, ამ დოკუმენტით ასევე დასტურდება, რომ კომპანია „დელტა კომი“, რომელიც საქმის მიმდინარეობის პროცესში აცხადებდა, რომ მზად იყო, იგივე მომსახურება, რომელსაც „სილქნეტი“ უწევს თავდაცვის სამინისტროს, უფასოდ გაეწია, სიმართლეს არ შეესაბამება და აღნიშნული კომპანია ამ მომსახურებაში თვეში 80.000 ლარს ითხოვდა, როცა „სილქნეტი“ აღნიშნულ მომსახურებას 1000 ლარად ახორციელებს.

– წინასასამართლო სხდომაზე თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკმა, მოწმე მირიანაშვილმა წარმოადგინა დოკუმენტი, რომლითაც მტკიცდება, რომ ბატონ მირიანაშვილს თავის ელექტრონულ ფოსტაზე შპს „დელტა კომის“ ხელმძღვანელმა პირებმა გადაუგზავნეს შეთავაზება იმის შესახებ, რომ 80.000 ლარად თვეში მოემსახურებოდნენ თავდაცვის სამინისტროს.

ამ საქმეზე ბრალდებულებს ბრალი ედებათ იმაში, რომ უყაირათოდ გაფლანგეს თანხები, რადგან „დელტა კომის“ თანამშრომლები მზად იყვნენ, უფასოდ შეეთავაზებინათ საერთოდ აღნიშნული სერვისი. თავდაცვის სამინისტრო მოქმედი ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმდა „სილქნეტთან“, თვეში 1000 ლარად იღებს მომსახურებას, აქ კი საუბარია 80.000 ლარზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ბრალდებას საფუძველს აცლის. ეს ჩვენთვისაც უცნობი დოკუმენტი იყო და ამ დოკუმენტს შესაბამისი წესით წარვადგენთ სასამართლო პროცესზე. ამ დოკუმენტიც მტკიცდება, რომ ათობით მილიონი ლარი დაიზოგა. „დელტა კომს“ ანალოგიური კონტრაქტი შს სამინისტროსთან აქვს გაფორმებული და ამ კონტრაქტით ასიათასობით ლარზეა საერთოდ საუბარი.

მითი, რომ თითქოსდა „დელტა კომი“ საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო და უფასოდ სთავაზობდა ამ ყველაფერს თავდაცვის სამინისტროს, ისედაც დამსხვრეული იყო და ეს დოკუმენტურადაც იმსხვრევა. ეს კომპანია თავდაცვის სამინისტროს კოლოსალური თანხების სანაცვლოდ სთავაზობდა კონტრაქტის გაფორმებას, რაც, ბუნებრივია, არ გაფორმდა. ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფები კანონიერად მოიქცნენ, დაზოგეს სახელმწიფო თანხები და დღეს ამისთვის არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი, – განაცხადა სამუშიამ.

მისივე თქმით, ბრალდების მხარის პოზიცია თავიდან ბოლომდე „დელტა კომის“ პოზიციაზე იყო დამყარებული.

– ექსპერტიზები ჩატარებულია ამ კომპანიის გაუგებარ ცნობებზე, რომ ისინი თითქოს მინიმალურ თანხად და ზოგ შემთხვევაში უფასოდ მიაწვდიდნენ მომსახურებას. დასტურდება, რომ არანაირ უფასოზე არ ყოფილა საუბარი და ძალიან დიდ თანხებს ითხოვდა უწყებისგან. ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების მიერ გაფორმებული კონტრაქტით „სილქნეტი“ თვეში მომსახურებაში 1000 ლარს იღებს, როცა „დელტა კომი“ 80.000 ლარს ითხოვდა, – აღნიშნა სამუშიამ.

ინტერპრესნიუსი

ნინო ლომჯარიამ „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა დატოვა

ნინო ლომჯარიამ „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა დატოვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სამართლიანი არჩევნებიდან“ აცნობეს, ორგანიზაციის ახალ აღმასრულებელ დირექტორს დღეს, 18 იანვარს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე წარადგენენ, რომელიც „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციის“ სათავო ოფისში გაიმართება.

„სამართლიანი არჩევნების“ გამგეობამ ახალი აღმასრულებელი დირექტორი მას შემდეგ აირჩია, რაც ნინო ლომჯარიას ორგანიზაციის წესდებით დადგენილი ვადა ამოეწურა. ლომჯარია „სამართლიან არჩევნებს“ გასული ოთხი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

მამუკა არეშიძე: „რუსული გაზი საქართველოს სჭირდება“

გაზპრომის თემა აქტუალობას კვლავაც არ კარგავს. ოპოზიციისა და საზოგადოების ნაწილი რუსული გაზის წინააღმდეგია და აღნიშნულ საკითხზე საპროტესტო აქციებს მართავს.

ექსპერტი მამუკა არეშიძე ამბობს, რომ გაზპრომის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ხელოვნურია და ვიღაცას ამით ქულების ჩაწერა სურს.

მისი თქმით, ხელისუფლებამ ამ თემასთან დაკავშირებით ბევრი უხეში შეცდომა დაუშვა.

ნონა ცაბაძე

– რა შეცდომებზე საუბრობთ?

– პირველ რიგში საზოგადოების ინფორმირებულობისა და საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მომზადება იყო საჭირო ტექნიკურად, იმისთვის, რომ როცა დაინახეს, აბონენტთა რაოდენობა 135 ათასით გაიზარდა, წარმოება გაიზარდა, შესაძლებელი იყო, რომ ამისთვის მზად ყოფილიყვნენ უფრო ადრე. თუნდაც საცავის მშენებლობა უფრო ადრე დაეწყოთ. მიუხედავად ამ უხეში შეცდომებისა, ხელოვნურადაა შექმნილი პროცესი და ამას მავანი ბოლომდე შეინარჩუნებს, რომ მოახდინოს ხელისუფლების დისკრედიტაცია.

– ქვეყნის შიგნით?

– ქვეყნის შიგნით არა, უფრო ქვეყნის გარეთ.

– როდესაც შეცდომებზე საუბრობთ, რა უნდა ხელისუფლებას, ჯერ საზოგადოებრივი აზრი უნდა მოემწიფებინა?

– პირველ რიგში, რაც ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა, არის ის, რომ მას მზადება უნდა დაეწყო ასეთი შემთხვევებისთვის. მათ ხომ ისედაც მშვენივრად იცოდნენ, რომ ზამთარში ბევრად მეტი იყო მოხმარება და დამატებითი გაზი სჭირდებოდა ქვეყანას. თავადვე ამბობდნენ, რომ ისინი უნებართვოდ იღებდნენ გაზს რუსეთ-სომხეთის გაზსადენიდან, რასაკვირველია, მერე ამას აბრუნებდნენ, მაგრამ იღებდნენ. ამას აკეთებდნენ წლების განმავლობაში.

– წინა ხელისუფლებაც?

– რასაკვირველია. ამას აკეთებდა ნაციონალური მოძრაობა და ამას აკეთებს დღევანდელი ხელისუფლებაც. თუ იცი, რომ დაგჭირდება, მოემზადე წინასწარ, დაიწყე გაზსაცავის მშენებლობა. ამ გაზსაცავის მშენებლობაზე დიდი ხანია ლაპარაკი მიმდინარეობს, ჯერ კიდევ სააკაშვილის დროიდან. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. ეს არის ძალიან ფაქიზი თემა.

– თავის დროზე სააკაშვილიც ხომ ფიქრობდა, გაზპრომისთვის მიეყიდა ცენტრალური მილსადენი?

– დიახ და მან იმიტომ დაიხია უკან, რომ საზოგადოებამ ძალიან აგდებულად დაუწყო ლაპარაკი ამ თემასთან დაკავშირებით. მაშინაც საზოგადოებამ სერიოზული შეტევა განახორციელა ხელისუფლებაზე, ასევე – უცხოელებმაც. ამერიკელებმა 50 მილიონი გამოყვეს ზუსტად იმიტომ, რომ მილსადენი არ გაყიდულიყო. ამიტომ საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს, როგორ ხდება ეს ამბავი და ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები არ უნდა აკეთონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა. უმრავლესობის წევრების დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცოდა, რაზეა ლაპარაკი.

– ეს ვითარება გააფუჭებს ურთიერთობებს აზერბაიჯანულ მხარესთან?

– აზერბაიჯანულ მხარესთან ურთიერთობა შეიძლება გაფუჭდეს. გასაგები და ლოგიკურია, რომ აზერბაიჯანულ მხარეს აწყობს მონოპოლისტობა. როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ხელისუფლება ხალხს დაჰპირდა, რომ ტარიფები შეიცვლებოდა, მაგრამ, როდესაც ჩაიხედეს საქმეში, გაირკვა, რომ სახელმწიფო სოკარის ვალში იყო.

– ანუ?

– ამას შემსუბუქებული სატარიფო პოლიტიკა შეეწირა. სოკარი არის მონოპოლისტი და ვის აწყობს, რომ მის მონოპოლიას საფრთხე დაემუქროს. განსაკუთრებით ეს ეხება კომერციული გაზის საკითხს. სოკარი ძალიან ძვირად ყიდის საქართველოს მომხმარებელზე კომერციულ გაზს. ორჯერ ძვირია რუსულ კომერციულ გაზე.

– რუსული გაზი გაცილებით იაფია?

– რასაკვირველია. რუსეთი რომ აგრესორი და ოკუპანტია, ამას არ უნდა ლაპარაკი, ეს ცხადია. თუმცა იგივე ხალხი არ იღებდა მაშინ ხმას, როდესაც რუსეთთან ეს ენერგეტიკული პოლიტიკა ტარდებოდა. ამიტომ მე არ მჯერა მაგათი არაფერი, არც მე და არც საზოგადოების დიდ ნაწილს. ამიტომ მათ მიერ წარმოებული პროცესი არის საგარეო მოხმარებისთვის. ეს ყველაფერი ნაციონალებიხ მხრიდან ორიენტირებულია საარჩევნო კამპანიაზე.

– ხელისუფლებას აწყობს ალტერნატიული წყაროს გამოჩენა, რომ უფრო თავისუფლად შეძლოს სოკართან ფასზე ვაჭრობა?

– არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლების მხრიდან ატეხილი მთელი ეს აჟიოტაჟი გაზპრომთან ნაწილობრივ ორიენტირებულია სოკარის „დაშინებაზე“. თუნდაც იაფ სულ რუსულ გაზზე რომ ვიყოთ დამოკიდებული, ეს არ არის სწორი. დივერსიფიკაცია, სხვადასხვა მომწოდებელზე ორიენტაცია ნაწილობრივ მაინც სასარგებლოა ფულის დაზოგვის თვალსაზრისით. პირველი მე ვიქნები და ჩემი კოლეგები, რომლებიც ხმას აიმაღლებენ, თუ რუსეთიდან გაზის შესყიდვა იქნება კრიტიკულ რაოდენობაზე მეტი.

– დღეს რამდენ პროცენტზეა საუბარი?

– დაახლოებით 20%-ია. ეს არ არის ჯერ კრიტიკული რაოდენობა, მაგრამ ახლოს არის.

– რით დასრულდება ეს პროცესი?

– მე არ მინდა, რომ ხელისუფლებამ უკან დაიხიოს ამ საქმეში. ყველა ენერგეტიკოსი, რომლებსაც მე ვიცნობ საქართველოში, ერთ ხმაში მეუბნება, რომ ეს საჭიროა. მე ვეკითხები არამარტო ქართველ ენერგეტიკოსებს, საუბარი მქონდა აზერბაიჯანელ ენერგეტიკოსებთანაც.

– მათი პოზიცია როგორია?

– მათაც მითხრეს, რომ ეს მათთვის გასაგებია. მათ ტექნიკურად არ შეუძლიათ, ბევრად მეტი მოგვაწოდონ. ისინი დაახლოებით დღეში 6 მილიონ კუბმეტრს გვაწვდიან, შეუძლიათ, 7 მილიონამდე გაზარდონ, მაგრამ ეს მათთვის დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. ამჟამად პოლიტიკური მიზნით გადაწყვიტეს, რომ ეს დამატებითი ხარჯი გაიღონ, მაგრამ ეს არის მათი მაქსიმუმი. ჩვენ უფრო მეტი გვჭირდება ვიდრე 7 მილიონი.

– ამაზე მეტის მოწოდება რატომ არ შეუძლია?

– თვითონ ყიდულობს აზერბაიჯანი გაზს. 31 დეკემბერს სწორედ ხელი მოაწერეს 2 მილიარდის შეძენაზე რუსეთის გაზპრომთან. აზერბაიჯანს აქვს გაზი, მართლა შეუძლია, ასი წელი უზრუნველყოს საქართველო, მაგრამ ქსელების გაშვების საშუალება არ აქვს ამდენი. არ მოემზადნენ ამისთვის. სწორედ ამიტომ აზერბაიჯანის წარმომადგენლები გასუსულები არიან ამ სიტუაციაში, თუ არ ჩავთვლით სოკარის ხელმძღვანელობას.

სოკარის ხელმძღვანელის შეფასებაც კი არ იყო კატეგორიული. არის რაღაც საკითხები, რაზეც ჩვენი ხელისუფლება დღეს ხმამაღლა ვერ საუბრობს.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სოკარი არამარტო ენერგოსფეროში იყო მონოპოლისტი.

– კიდევ რის მონოპოლიას ფლობდა სოკარი?

– ის იყო ხორბლისა და შაქრის ბიზნესში. დიდი ბრძოლა დასჭირდა დღევანდელ ხელისუფლებას იმისთვის, რომ ამ სფეროებიდან მეტნაკლებად ჩამოეშორებინა სოკარი. ამაზე ხელისუფლება ვერ საუბრობს, რადგან ეს გამოიწვევს ოფიციალურ დონეზე ურთიერთობის გაუარესებას, არაოფიციალურად კი საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ამ თვალსაზრისით.

დღეს აზერბაიჯანი იმაზე მძიმე მდგომარეობაშია ეკონომიკური თვალსაზრისით, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია საქართველოში. მანათის მდგომარეობა კატასტროფულია. მანათი დოლარზე ძლიერი იყო და დღეს 4 მანათი ღირს 1 დოლარი.

◆ ◆ ◆

ანალიტიკოსი ენერგეტიკულ საკითხებში **ლიანა ჯერვალიძე** ამბობს, რომ გაზის ის რაოდენობა, რომელსაც ჩვენ ტრანზიტის სანაცვლოდ ვიღებთ, არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, საქართველოს ბალანსში მას უკავია 10-12%.

– ეს კი გაზპრომს არანაირ ბერკეტს არ აძლევს საიმისოდ, რომ იმოქმედოს საქართველოს წინააღმდეგ, – აცხადებს ანალიტიკოსი „ახალ თაობასთან“ საუბარში.

მისი თქმით, გაცილებით უარესი დამოკიდებულება იყო გაზპრომთან წინა წლებში.

– ჩვენ ეს პერიოდი გამოვიარეთ. ახლა გაცილებით ნორმალური ბალანსი გვაქვს და ამ ბალანსში თუნდაც 20%-მდე რომ გაიზარდოს რუსული გაზის წილი, ეს საფრთხეს არ წარმოადგენს.

– ანუ მიზანმიმართულად ხდება საკითხის პოლიტიზება?

– წინასაარჩევნო პერიოდია და ყველაფერი განიხილება ამ ჭრილში. პირადად მე ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ და ძალიან მიკვირს დღეს ატეხილი აჟიოტაჟი. თუკი ჩვენ გაზპრომისთვის უარის თქმა გვინდოდა, ამისთვის ძალიან კარგი ემოციური ფონი გვქონდა 2008 წელს, კონფლიქტის შემდეგ, როდესაც გორში იდგნენ რუსული ტანკები! რატომ მაშინ არ ვთქვით უარი?!

– რა შეიცვალა დღეს?

– არ ვიცი, რა ამოძრავებთ მათ. 2008 წელს ისეთი ემოციური ფონი მქონდა, რომ იმ პერიოდში შეიძლებოდა, მეც კი გავბრიყვებულიყავი და ამ აქციას შევერთებოდი ემოციურ ფონზე. მაშინ რატომ არ ვთქვით იმ გაზზე უარი და რატომ განვაგრძეთ ელექტროენერგიის მიწოდება რუსეთისთვის, კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესშიც კი!

– სოკართან არ გაგვიფუჭდება ურთიერთობა?

– საქართველო არის უმნიშვნელოვანესი ბაზარი, ჩვენ პარტნიორული ურთიერთობები გვაქვს სოკართან. ეს არის მრავალწლიანი გაზის მოწოდების კონტრაქტი, რომელიც 2030 წლამდე გრძელდება. ჩვენ გვაქვს საერთო სატრანზიტო პროექტი, შაჰდენიზ 2-თან დაკავშირებული. როგორც კი ამ ბაზარზე გაზის მოპოვება დაიწყება 2019 წლიდან, ჩვენ გაზის მიღების გაცილებით უკეთესი შანსები გვექნება.

– ანუ მხოლოდ ამ მოკლე პერიოდში გვესაჭიროება რუსული გაზი?

– ჩვენ ეს პატარა პერიოდი გვიჭირს, ვიდრე ახალი, დამატებითი გაზის მოცულობები წამოვა აზერბაიჯანიდან.

ერთწლიან განახლებად კონტრაქტებში გაზპრომთან საფრთხეს ვერ ვხედავ. თუნდაც აზოტი რომ წავიდეს და გაზპრომთან 50 დოლარად ან 100 დოლარად გაზი იყიდოს, მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ გაზპრომი კერძო კომპანიაა, ჩვენი კომერციული ბაზარი არის დერეგულირებული და ჩვენს კერძო კომპანიებს აქვთ კანონმდებლობით ეს უფლება მინიჭებული, წავიდნენ, იშოვონ, დაილაპარაკონ და მოიპოვონ უფრო იაფი გაზი უკეთესი პირობებით.

– რომელი გაზი უფრო იაფი გვიჯდება, რუსული თუ აზერბაიჯანული?

– ეს არავინ იცის. ეს არის ინდივიდუალური მოლაპარაკების პროცესი. აზოტს კონკრეტული არაფერი უთქვამს ჯერ. ის ამბობს, ორივესთან ვლაპარაკობ, რომელიც უკეთესს შემომთავაზებს, იმისგან ვიყიდიო. სამინისტრო ლაპარაკობს ერთწლიან სატრანზიტო შეთანხმებაზე, რომელიც ყოველწლიურად განახლებადია და რომელზეც გაზპრომი ითხოვს მონეტიზაციას ნატურის გადახდის მაგივრად.

ამჟამად ეს არის გაზპრომთან მოლაპარაკების საგანი. რაც შეეხება კომერციულ აქტიორებს, ისინი სად იშოვიან გაზს და რა ფასად, ეს ჩვენი თავისტკივილი არ არის.

– ანუ ჩვენი ქვეყანა არ ზარალდება ამ სიტუაციაში?

– არანაირად. მე ამაში ვერაფერს ვხედავ საზიანოს. ნამდვილად არ შეიძლება, იმ სიგიჟეებზე ვაკეთო კომენტარი, დღეს ვინ რას ამბობს.

აზერბაიჯანული მანათი კიდევ გაუფასურდა

აზერბაიჯანის ეროვნული ვალუტა კიდევ გაუფასურდა.

ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა ახალი გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც ორშაბათს, 17 იანვარს, 1 აშშ დოლარი 1,5870 მანათი ეღირება.

ეს იმას ნიშნავს, რომ დოლართან მიმართებით მანათი კიდევ 1,044 პროცენტით გაუფასურდა.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში აზერბაიჯანული მანათის გაუფასურება ნავთობზე ფასების დაცემამ გამოიწვია, ვინაიდან ქვეყანა შემოსავლის დიდ ნაწილს სწორედ ნავთობისა და გაზის ექსპორტით იღებს.

ბიბიენი

თამბაქოს პროდუქციაზე ფასები 28-დან 35 თეთრამდე უკვე გაიზარდა

აქციზის განაკვეთის ზრდის გამო თამბაქოს პროდუქციაზე ფასები 28-დან 35 თეთრამდე უკვე გაიზარდა. 2016 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ამოქმედდა, რომლის თანახმადაც, თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის განაკვეთი ფიქსირებული 20 თეთრითა და ღირებულების 5%-ით გაიზარდა.

უფრო კონკრეტულად კი აქციზის ზრდა სხვადასხვა ღირებულების სიგარეტზე სხვადასხვანაირად აისახა.

კერძოდ, თუ სიგარეტის კოლოფის ღირებულება 1.5 ლარს შეადგენდა, მისთვის აქციზის განაკვეთი 28 თეთრით გაიზარდა, 2-ლარიანი სიგარეტის შემთხვევაში – 30 თეთრით, 2.5-ლარიანი სიგარეტის შემთხვევაში – 33 თეთრით და 3-ლარიანი სიგარეტის შემთხვევაში – 35 თეთრით.

ამასთან, ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ, რომ ზოგიერთი საცალო გაყიდვის პუნქტის მიერ თამბაქოს პროდუქციაზე ფასების მკვეთრი ზრდა აქციზს არ უკავშირდება.

როგორც სავაჭრო ჯიხურებში აცხადებენ, აქციზის განაკვეთის ზრდა სიგარეტის ღირებულებაზე ახალი წლის პერიოდში უკვე აისახა.

ზოგიერთი მაღაზია გარკვეული დასახელების თამბაქოს ნაწარმს ჯერ კიდევ ძველი ფასით ყიდის, თუმცა გამყიდველები ფასების მომატებას აღნიშნულ სიგარეტებზეც ელოდებიან.

საქართველოს პარლამენტმა სიგარეტსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის გაზრდასთან დაკავშირებული საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებები მესამე მოსმენით 11 დეკემბერს დაამტკიცა. ცვლილებების თანახმად, აქციზის ფიქსირებული განაკვეთი 2016 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა.

აღნიშნული ცვლილებები მთავრობამ თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრებით, ამ მხრივ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებითა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის ოპტიმიზაციის მიზნებით ახსნა.

ბიბიენი

„მალე ნავთობი უფრო იაფი იქნება, ვიდრე 1 ბოთლი წყალი“

მალე ნავთობი უფრო იაფი იქნება, ვიდრე 1 ბოთლი წყალი, თუ ე.წ. შავი ოქროს ფასი კლებას განაგრძობს.

ამის შესახებ ექსპერტები აცხადებენ.

დეკემბრის დასაწყისიდან დღემდე ნავთობის ფასმა მსოფლიო ბაზარზე 30%-ით იკლო. შედეგად ბრენტის ტიპის ნავთობის ფასი ბარელზე 30 დოლარს ჩამოსცდა.

ანალიტიკოსების ნაწილი შიშობს, რომ მალე შესაძლოა ბარელი „შავი ოქროს“ ყიდვა 10 დოლარად გახდეს შესაძლებელი.

– ჩვენ შესაძლოა უჩვეულო დრო დაგვიდგეს, როდესაც 1 ლიტრი საწვავი უფრო იაფი იქნება, ვიდრე 1 ლიტრი ბოთლის წყალი, – აღნიშნა ანალიტიკოსმა სიმონ უილიამსმა.

მსოფლიო ბაზარზე ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნავთობის ფასი რეკორდულად დაეცა.

აშშ-ში 1 ბარელი ნედლი ნავთობი ერთი წლის წინ 100 დოლარზე მეტი ღირდა.

ფასების ვარდნა მოთხოვნის შემცირებამ და ჭარბმა წარმოებამ გამოიწვია.

ბიბიენი

მარიამ ვალიშვილი: „ირანიდან უახლოეს წლებში გაზის შემოტანა ვერ მოხერხდება“

მარიამ მჭედლიშვილი

ვის უნდა აზერბაიჯანის განდევნა გაზის ბაზრიდან?

გაზმომარაგების თემა ისევ აქტუალურია საქართველოში. აზერბაიჯანს, რომელიც გაზის ძირითადი მომმარაგებელია, ბევრი მხარდამჭერი ჰყავს პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს შორის. გარდა ამისა, არიან გაზპრომთან თანამშრომლობის მომხრეები.

აზერბაიჯანულ კომპანია სოკარის წარმომადგენლებთან გამართულმა შეხვედრამ დაძაბულობა ვერ შეანელა.

– ფაქტობრივად, საქართველომ და აზერბაიჯანმა ვერ მოილაპარაკეს. ეს ქმნის რისკს, რომ აზერბაიჯანი დაკარგავს შემოსავალს გაზის გაყიდვიდან, – ასკვნის აზერბაიჯანული სააგენტო მინვალი.

მედიასაშუალება აღნიშნავს, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კალაძის საიდუმლო მოლაპარაკებებმა გაზპრომის წარმომადგენლებთან შვეიცარიაში საქართველოს ოპოზიციის პროტესტიც კი გამოიწვია.

გამოდის თუ არა გაზის ბაზარი აზერბაიჯანის გავლენის სფეროდან? ვინ უწყობს ამას ხელს? მინვალს ამის პასუხად მოჰყავს ზოგიერთი მიმომხილველის მოსაზრება. ამ პოზიციის თანახმად, ყველაფერი დაკავშირებულია აშშ-ის პოლიტიკასთან აზერბაიჯანის მიმართ:

– ევროინტეგრაციის გზაზე დამდგარი თბილისის ეს ნაბიჯები უკავშირდება აშშ-ის პოლიტიკას აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

მიმომხილველების აზრით, აშშ-მ გააკეთა განცხადება მოსალოდნელ სანქციებზე აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ის, რაც აზერბაიჯანულ გაზთან დაკავშირებით ხდება, შეიძლება სანქციად შეფასდეს.

მათი მტკიცებით, აზერბაიჯანის საწინააღმდეგო მოქმედებად განიხილება ისიც, რომ შეჩერდა სოკარსა და საბერძნეთის გაზგამანაწილებელ კომპანიას შორის მიღწეული პირველადი შეთანხმება.

მიმომხილველების შეფასებით, იგივე მიზნები ამოძრავებს გაზპრომს. აზერბაიჯანის შემთხვევაში დასავლეთისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ისინი ერთად ახდენენ აზერბაიჯანის განდევნას გაზის ბაზრიდან.

ამ პოზიციას არ იზიარებს ეკონომიკის ექსპერტი გუბად იბადოღლუ.

მისი აზრით, საქართველოში მიმდინარე პროცესი ამერიკიდან არ იმართება. პირიქით, აშშ მხარს უჭერს აზერბაიჯანის ენერგეტიკული რესურსების გატანას საქართველოში, თურქეთსა და ევროპაში.

ექსპერტი ამბობს, რომ საქართველოს მთავრობაში გააქტიურდნენ ანტიაზერბაიჯანული ძალები, რომლებიც მიდრეკილი არიან რუსეთთან თანამშრომლობისკენ.

აზერბაიჯანული სააგენტო ტრენდი აქვეყნებს ინტერვიუს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილთან.

მისი აზრით, საქართველო განიხილავს რუსული გაზის აზერბაიჯანულით ჩანაცვლების საკითხს.

რუსეთის გაზის იმპორტი საქართველოში დღემდე ხორციელდება სომხეთში მისი ტრანზიტის გადასახადის სახით. ამჟამად განიხილება გაზის ფულით შეცვლის საკითხი. მსჯელობა მიდის თანხაზე, რომელიც რუსეთმა უნდა გადაიხადოს ტრანზიტისათვის 2016 წელს. იგეგმება, რომ საქართველო გაზის 10%-ს, რომელსაც რუსეთიდან იღებდა, აზერბაიჯანიდან მიიღებს. ექსპერტებმა უნდა შეისწავლონ, რამდენადაა ტექნიკურად მზად ამისთვის მილსადენები.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ გაზზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. ტრანზიტის საფასურად რუსეთიდან მიღებული გაზის მთლიანად აზერბაიჯანულით ჩანაცვლება ვერ მოხდება. ამიტომ აუცილებელი ხდება რუსეთიდან გაზის პირდაპირ შემოტანა. ამის შესაძლებლობა განიხილება შეხვედრებზე გაზპრომის წარმომადგენლებთან, მაგრამ რუსული მხარის მიერ შემოთავაზებული ფასები მაღალია.

ვალიშვილის ინფორმაციით, საქართველოში ამჟამად არ არსებობს ინფრასტრუქტურა გაზის მისაღებად რომელიმე მესამე ქვეყნიდან. გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველო დაინტერესებულია გაზის მიღებით ირანიდან, მაგრამ უახლოეს წლებში ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

8 ოჯახი 20 წელზე მეტია წყლისა და გათბობის გარეშე ცხოვრობს



8 ოჯახი ჩოხატაურში ყოფილი სპორტსკოლის შენობაში ცხოვრობს. ყველა მათგანი სოციალურად დაუცველია. რამდენიმე ბინადარმა, როგორც „გურიის მოამბეს“ განუცხადეს, სოციალურად შეჭირვებულთა სტატუსი დაკარგა და აღდგენას წლებია უშედეგოდ ითხოვენ.

– მეცხრე წელია აქ ვცხოვრობ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ, ვზრდი ორ შვილს. აქ გაიზრდებიან ბავშვები? თოვლმა კიდევ უფრო დაამძიმა აქ არსებული სიტუაცია, შეიძლება ჭერი ჩამოინგრეს და საშინელი ტრაგედია დატრიალდეს. ძალიან რთულ სიტუაციაში ვართ. თუ ვინმეს მიხმარება სჭირდება, ვეხმარებით და იქ აღებული ფულით ვყიდულობთ პურს.

ყოფილი სპორტსკოლის შენობაში შეხიზნულებმა ადგილობრივი ხელისუფლებიდან სხვა შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით შემოთავაზება რამდენჯერმე მიიღეს. ბინის დანგრევის საშიშროების მოლოდინში მცხოვრები ოჯახები, როგორც თვითონ აცხადებენ, თავს მოტყუებულადაც გრძნობენ, რადგან უკვე რეაბილიტირებული საცხოვრებელი ფართების მათ საკუთრებაში გადაცემა კვლავაც მხოლოდ მშრალ დაპირებად რჩება.

– ჩვენ ვითხოვთ ალტერნატიულ ფართს. როგორც ოზურგეთსა და სხვა ნორმალურ ქალაქებში გაკეთდა, ისე გააკეთონ აქ. თუ არ კანონდება ეს ფართები, დროებით შეგვიშვან სხვა ადგილზე.

შენობა, სადაც 8 ოჯახი ცხოვრობს, ფაქტობრივად, იშლება. კედლები გაბზარულია და ყოველი წვიმის შემდეგ მდგომარეობა უარესდება. ადგილობრივების თქმით, შენობაში საშინელი ანტისანიტარიაა. არ არსებობს კანალიზაცია და შენობის პირველი სართული ფეკალური მასით ივსება. ავარიულ შენობაში წვიმის წყალი ჩადის, აყრილია იატაკი, დაზიანებულია შენობის კარ-ფანჯარა. მოსახლეობის თქმით, დასახლებაში პრობლემაა სასმელი წყალიც. ისინი ხელისუფლებისგან დანაპირების ასრულებას ანუ ალტერნატიულ ფართს ითხოვენ, სადაც ადამიანურად იცხოვრებენ.

როგორც აქ მცხოვრები მოსახლეობა განმარტავს, მრავალჯერადი თხოვნის მიუხედავად, დანგრევის პირას მყოფი ავარიული კორპუსის არც რეაბილიტაცია და არც დემონტაჟი ამ დრომდე არ მომხდარა: „ბევრი ვიარეთ არჩევნებზე ოცნების შტაბში, მაგრამ ჩვენი პრობლემის მოგვარებით არავინ დაინტერესებულა“, – აცხადებენ ავარიულ შენობაში მცხოვრებლები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კი განმარტავენ, რომ მოსახლეობა შეთავაზებაზე მხოლოდ ერთი მიზეზით ამბობდა უარს. ეს მიზეზი კი ისაა, რომ მათ სურთ, ეს ფართები საკუთრებაში მიიღონ. მუნიციპალიტეტის გამგებელ ირაკლი კუჭავას ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით ახალ პროექტზე მუშაობენ და ეს ყოფილი სამშობიარო სახლის შენობის გარემონტებაა. შენობის გარემონტება 160 ათასი ლარი ჯდება.

– მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გავაკეთოთ სოციალური საცხოვრისი, რომელიც ყოფილი სამშობიაროს ფართში განთავსდება. შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვა უკვე მზად გვაქვს. გუბერნატორთან არსებულმა საკოორდინაციო საბჭომ ეს გადაწყვეტილება მოგვიწონა, პროექტი ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადაგზავნილია. ამავე დროს, ვმუშაობთ დონორებთან, თანადაფინანსებასთან ერთად, იქნებ დონორებიც ვიპოვოთ. იმედი მაქვს, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრო ჩვენს ამ პროექტს დააფინანსებს. ეს პროექტი 19 კეთილმოწყობილი ოჯახის შექმნას ითვალისწინებს. – აცხადებს ირაკლი კუჭავა.

ნიუპოსტი

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულები პრემიერ-მინისტრს მიმართავენ

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები პრემიერ-მინისტრს წერილით მიმართავენ.

– მოგმართავთ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე „პოლიტიკური პატიმრის“ სტატუსით გათავისუფლებული პირები გათავისუფლების დღიდან ვცდილობთ სამართლიანობის აღდგენას. არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ ჩვენს მიმართ დადგენილი უკანონო და უსამართლო განაჩენები შესწავლილი და გადახედილი იქნას, რათა სწორედ სამართლებრივი გზით მოხდეს ჩვენს მიმართ ინკრიმინირებული დანაშაულებთან დაკავშირებული სიყალბეების გამოაშკარავება.

ჩვენი გათავისუფლების შემდეგ ჩვენი სრულყოფილი რეაბილიტაციისათვის არათუ არ გადადგმულა არცერთი ნაბიჯი, სამართლებრივი გზით დაგვემტკიცებინა ჩვენს საქმეებში პოლიტიკური მოტივების არსებობის, არამედ, პირიქით, სისტემატურად ვხდებით ლანძღვისა და ტალახის სროლის ობიექტები სხვადასხვა მარგინალური პირებისა და ჯგუფების მხრიდან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს ჩვენთვის პოლიტპატიმრობის სტატუსის მონიჭების საფუძველი კორუფცია და საქმის ჩაწყობა იყო.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, ჩვენ ვერ მივაღწიეთ ამ საკითხებზე პარლამენტში საკომიტეტო მოსმენის დანიშვნას. აღნიშნულის გამო იძულებული ვართ, მოგმართოთ თქვენ, როგორც საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს, რათა თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს შეხვდეთ ჩვენს წარმომადგენლებს, რომლებიც გაგაცნობენ ჩვენს პოზიციას აღნიშნულ პრობლემაზე, გაგიზიარებენ თავიანთ მოთხოვნებს და მომავალი მოქმედების გეგმებს.

პატივისცემით პოლიტპატიმრები: ლევან ჩაჩუა, თორნიკე მოლაშვილი, ზაალ ჟვანია, რამაზ ღვალაძე, ზაზა გვიმრაძე, რატი მაისურაძე, ჯემალ გუნდიშვილი, ოლეგ კეშელავა, შოთა იამანიძე, ნანა თხელიძე, გიორგი გაბედავა, ივანე ჩიღვინაძე და სხვები, – ნათქვამია პრემიერისადმი მიმართვის ტექსტში.

ნიუპოსტი

უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე ხიდის ქვეშ ცხედარი აღმოაჩინეს

უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე ხიდის ქვეშ ახალგაზრდა ქალის ცხედარი აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გოგონა, სავარაუდოდ, ხიდიდან გადახტა და თავი მოიკლა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ინტერპრესნიუსი

აჭარის მთავრობა 100-წლოვანი ხეების შეკვეთილში გადარგვას აპირებს

აჭარის მთავრობა ციხისძირში, ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ასწლოვანი ხეების შეკვეთილში, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით მშენებარე ფილარმონიის ეზოში გადარგვას გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

„ტვ25“-მა ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივები გამოჰკითხა. ციხისძირელების თქმით, ტერიტორიითა და ნარგავების ბედით ბიძინა ივანიშვილია დაინტერესებული. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ციხისძირში ადგილობრივებმა ორი კვირის წინ არაერთხელ ნახეს. მათი თქმით, ივანიშვილი ხეებსა და ტერიტორიას, ასევე სანაპირო ზოლს გულდასმით ათვალიერებდა. ყოფილი პრემიერის ვიზიტების შემდეგ მუშაობა გზის გასაყვანად მძიმე ტექნიკამ დაიწყო.

ნებართვის გარეშე მიმდინარე სამუშაოების მიზნებთან დაკავშირებით პასუხების გაცემა გუშინ აჭარის მთავრობის თავმჯდომარისაგან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოითხოვა.

არჩილ ხაბაძემ საკითხზე განმარტების გაკეთება გუშინ არ ისურვა, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში კი „ტვ25“-ის შეკითხვებს არ უპასუხეს. მედიასაშუალებას ინფორმაცია მხოლოდ საქართველოს გარემოს დაცვის ინსპექციის პრესსამსახურმა მიაწოდა. მათი განცხადებით, ტერიტორიიდან ასწლოვანი 8 ტიტას ხის ამოღება და შეკვეთილში, ბიძინა ივანიშვილის დაფინასებით მშენებარე ფილარმონიის ეზოში გადარგვა სწორედ აჭარის მთავრობის განკარგულებით იგეგმება.

აქვე განმარტეს, რომ რვა ხიდან სამი კერძო საკუთრება იყო, რომელიც რეგიონის მთავრობამ შეისყიდა, თუმცა იმ მიზეზით, რომ საკითხი მათ კომპეტენციას სცილდება, კომენტარი არ გააკეთეს. ჟურნალისტებმა პირს, რომელმაც ხეები გასხვისა, სოფელში ვერ მიაკვლიეს. ადგილობრივები მსგავს ინფორმაციას უარყოფენ. აჭარის მთავრობის აპარატის პრესსამსახურში განცხადებით არჩილ ხაბაძე აღნიშნულ საკითხზე მიმდინარე კვირაში ისაუბრებს.

ნიუპოსტი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ირანს სანქციები მოუხსნეს

ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) წარმომადგენლის მოხსენების შემდეგ ირანისთვის სანქციების მოხსნა დღის წესრიგში რეალურად დადგა. განცხადებამ, ირანმა მისდამი წაყენებული ყველა მოთხოვნა შეასრულაო, სანქციების მოსახსნელად საფუძვლები შექმნა.

აშშ-მ და ევროკავშირმა ირანს სანქციები მოუხსნეს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ქერიმ განაცხადა, რომ ირანის მიმართ სანქციების მოხსნას მიესალმება.

– მრავალი წლის მუშაობამ შედეგი გამოიღო, – თქვა ქერიმ და დაამატა, – იმედი მაქვს, ირანმა ატომური ბომბის დამზადებაზე სამუდამოდ განაცხადა უარი. ატომურმა ამბიციებმა ირანი სრულ იზოლაციაში მოაქცია.

სანქციების მოხსნას ფედერიკა მოგერინიც მიესალმა.

– ევროპა სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ირანთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენით. ახლა საამისო პერსპექტივა შეიქმნა, – თქვა მოგერინიმ.

ირანის ხელმძღვანელობა აღფრთოვანებას არ მალავდა.

– ალაჰმა ირანელი ხალხი მრავალწლიან მოთმინებისთვის დააჯილდოვა! სანქციების მოხსნა ჩვენი დიდი გამარჯვებაა! – განაცხადა ირანის პრეზიდენტმა.

მომხდართან დაკავშირებით განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ მრავალწლიანმა მუშაობამ შედეგი გამოიღო.

– ირანის პრობლემა დარეგულირდა. ეს მთელი ცივილიზებული კაცობრიობის გამარჯვებაა, – ნათქვამია რუსების განცხადებაში.

ვიქტორია ნულანდი ვლადისლავ სურკოვს შეხვდა

კალინინგრადის მახლობლად აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდისა და რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვის შეხვედრა შედგა.

საუბრის ძირითადი თემა დონბასში ვითარების დარეგულირება იყო. შეხვედრა დახურულ რეჟიმში წარიმართა.

ნულანდმა სურკოვთან საუბრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოლაპარაკებებმა კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა. მან ხაზი გაუსვა, რომ კრემლი ცდილობს, დასავლური სანქციების თუნდაც შემცირებას მიაღწიოს. რუსეთი კომპრომისებისათვის მზადაა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის წარმომადგენელმა თქვა, რომ ვაშინგტონის პოზიცია მტკიცეა: დონბასში უნდა შეწყდეს ძალადობა, მკვლელობები, დაიშალოს ყველა უკანონო ფორმირება, რუსულმა ჯარმა რეგიონი უნდა დატოვოს, უკრაინას კი საზღვარზე კონტროლი გადაეცეს.

– არჩევნების ჩატარება და დონბასისთვის სტატუსის მინიჭება მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი! – თქვა ნულანდმა.

სურკოვი გაცილებით სიტყვაძუნწი იყო. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ საუბარმა კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა.

– ეს იყო ჩვენი ინტელექტუალური შეტევა დონბასში სიტუაციის დარეგულირების მიზნით, – თქვა სურკოვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მოლდოვა: პრორუსული ძალები პრეზიდენტის იმპიჩმენტს ამზადებენ

მოლდოვის პრეზიდენტმა ტიმოფტიმ გააუქმა თავისი განკარგულება პრემიერის პოსტზე იონ პედურარუს დანიშვნის შესახებ.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პედურარუ საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა. საუბარი ხანგრძლივი და ნერვული იყო. მოლდაველმა დეპუტატებმა პედურარუს უნდობლობა გამოუცხადეს.

ამის შემდეგ პედურარუ ტელევიზიით გამოვიდა და პრემიერობაზე უარი განაცხადა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პრემიერობის ახალი კანდიდატი პავლე ფილიპი გახდება. მას მთავრობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების მინისტრის პოსტი ეკავა.

მოლდოვის პარლამენტის გარკვეული ჯგუფები, რომლების უკანაც გავლენიანი ოლიგარქიული კლანები დგანან და რომლებიც რუსული ბაზრის შენარჩუნებით არიან დაინტერესებულნი, პრეზიდენტ ტიმოფტის იმპიჩმენტს ამზადებენ.

წარმატების შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება პრორუსული ძალის წარმომადგენელს (სოციალისტური პარტია, ჩვენი პარტია და ა.შ.) დაეკისრება.

პრორუსულმა ძალებმა ქუჩაში თავიანთი მომხრეები გამოიყვანეს. ისინი ვადამდელი არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ.

ვადამდელ არჩევნებზე პრორუსულ ძალებს აქვთ უმრავლესობის მოპოვების შანსი. მოლდოვის პრორუსული ორიენტაციის პარტიების რეიტინგი 43%-ია, პროდასავლურისა კი – 40%.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

მკურნალობა

● იყიდება 4-ოთახიანი 100 კვ.მ. ბინა, მე-16 სართულზე, აივნით, ხედით მტკვარზე. ფასი 70 000 დოლარი, მისამართი: ცაბაძის №1, ტელ: 557-64-80-71 ლუბა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქნი ფიქრია.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

დანიის ზოოპარკში კიდევ ერთი ლომი გაკვეთეს

დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში ლომის გვამი სახალხოდ გაკვეთეს.

მაყურებლებისთვის განკუთვნილი ადგილები სტუმრებით იყო გადავსებული. მათ შორის ბავშვებიც იყვნენ. ასევე პროცესს დანიის, ამერიკისა და რუსეთის გადამღები ჯგუფები ესწრებოდნენ.

ზოოპარკის წარმომადგენელ ნინა კოლაცის თქმით, ღონისძიებამ „ძალიან კარგად“ ჩაიარა.

– ღონისძიებას უამრავი სტუმარი ესწრებოდა. ბავშვებს აშკარად არ შეშინებიათ. მათში გაკვეთის პროცესმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და უამრავ კითხვას სვამდნენ, – აღნიშნა მან.

ამ დღეებში კი ანტილოპის სახალხო გაკვეთაა დაგეგმილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის ფეხებში სიმძიმესა და დაჭიმულობას.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მობ. ტელ: 599-73-48-21

პრინცმა უილიამმა სკოლის სასადილოში ისადილა

ბრიტანეთის პრინცმა უილიამმა ჰარტფორდშირში სკოლის სასადილოში ისადილა. კემბრიჯის ჰერცოგის ვიზიტს სასწავლო დაწესებულებაში, ადგილობრივ პრესაში „მოულოდნელი“ უწოდეს.

უილიამმა, რომელიც აღმოსავლეთ ინგლისში საჰაერო სასწრაფო დახმარების პილოტად მსახურობს, ექიმები საავადმყოფოში ჩაიყვანა და შემდეგ ჯონ ჰენრი ნიუმანის სკოლაში გაფრინდა, რომელიც სტივენიჯში მდებარეობს. შვეულმფრენის სპორტულ მოედანზე დაშვების შემდეგ პრინცმა სკოლის სასადილოს მიაშურა.

სასწავლო დაწესებულების უფროსმა მასწავლებელმა კლაივ მეტიუმ განაცხადა, რომ უილიამის ვიზიტი „მოულოდნელად განხორციელდა“. მისი თქმით, საჰაერო სასწრაფო დახმარება რეგულარულად სარგებლობს სკოლის სპორტული მოედნით და სკოლის პერსონალი ყოველთვის ათავისუფლებს მოედანს, ხოლო შვეულმფრენის დაშვების შემდეგ სასწრაფო დახმარების თანამშრომლებს სასმელსა და საკვებს სთავაზობენ. სასწავლებლის თანამშრომლებს არ ეგონათ, თუ ამჯერად შვეულმფრენში კემბრიჯის ჰერცოგი აღმოჩნდებოდა.

როგორც მეტიუმ აღნიშნა, პრინცი მოსწავლეებთან ერთად ჩადგა რიგში, ლანჩი მიიღო და მაგიდას მიუჯდა. შემდეგ მას გარშემო მოსწავლეები შემოეხვივნენ და ის მათ გაესაუბრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქუთაისმა ქორქია-საკანდელიძის მემორიალი მოიგო

ქუთაისი – სოხუმი 86:57
(24:8; 29:17; 13:14; 20:18)

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას თასის გამარჯვებული საკალათბურთო კლუბი ქუთაისი გახდა.

სატიტულო მატჩი ვერ გამოდგა საინტერესო. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა მასპინძლებმა საკმაოდ იოლად – 86:57 დაამარცხეს სოხუმი და არსებობის ისტორიაში პირველად მოიგეს ქორქია-საკანდელიძის თასი.

პირველი მეოთხედის შემდეგ ქუთაისელები 24:8 იგებდნენ, დიდი შესვენებისთვის კი გამარჯვებულის ვინაობა ფაქტობრივად გაარკვიეს – 53:25.

მეორე ტაიმი ფორმალობად იქცა. ქუთაისელები იოლად მივიდნენ გამარჯვებამდე და ნამატჩევს საჩემპიონო თასთან ერთად სხვა ინდივიდუალური პრეზებიც ჩაიბარეს. დაჯილდოების ცერემონიალზე ტურნირის საუკეთესო ფორვარდი და უკანახაზელი გამოავლინეს.

საუკეთესო ფორვარდად დასახელდა ქუთაისელი ბექა ბექაური, რომელსაც სპეციალური პრიზი და შესაბამისი სიგელი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გადასცა. საუკეთესო უკანახაზელი გახდა გიორგი ბარბაქაძე, რომელიც ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალმა დააჯილდოვა.

დაბოლოს, ფეიერვერკის თანხლებით საჩემპიონო თასი ქუთაისელთა კაპიტან გიორგი ბარბაქაძეს გადასცეს ზურაბ საკანდელიძის შვილმა გიორგიმ და შვილიშვილმა – პატარა ზურაბ საკანდელიძემ.

ჯანო ანანიძე: „ჩემგან თამადა არ გამოვა“

მოსკოვის სპარტაკი სეზონისთვის მზადებას აბუ დაბიში შეუდგა. დმიტრი ალენიჩევის განკარგულებაში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჯანო ანანიძეცაა.

ქართველი ფეხბურთელი სექტემბერში მიღებული ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის და ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

– თავს როგორ გრძნობ?

– კარგად. ვფიქრობ, ყველაფერი ცუდი უკვე გასულ წელს დარჩა. ყოველ შემთხვევაში, ფეხის ტკივილი აღარ მაწუხებს.

– დასვენებისას აღდგენით კურსს აგრძელებდი?

– დიახ, თბილისში. საქართველოს ნაკრების ბაზაზე ამაში ეროვნული გუნდის ექიმი დამეხმარა. ახალ წელს ბაკურიანში შევხვდი, სადაც ბევრი თოვლია.

– ბაკურიანში ცნობილი ტრამპლინი იყო, საიდანაც თავისი სარეკორდო ნახტომებით ცნობილი კობა წაქაძე გამოირჩა.

– ამ დიდებული სპორტსმენის შესახებ მსმენია. ბაკურიანის ტრამპლინიც მინახავს. თუმცა, სავარაუდოდ, ეს უკვე ახალი ტრამპლინია.

– სამწუხაროა, რომ ვერ სრიალებდი?

– საერთოდ, პროფესიონალ ფეხბურთელებს დასვენებისას სხვა სპორტის სახეობებით დაკავება, რბილად რომ ვთქვათ, ეკრძალებათ, მით უმეტეს, ჩემს მდგომარეობაში.

– როგორ ხვდებიან პროფესიონალები ახალ წელს?

– სადღესასწაულო განწყობით. რა თქმა უნდა, ამ დღესასწაულს ოჯახისა და მეგობრების წრეში ვატარებთ. მართალია, მათთან შედარებით, მხოლოდ წვენისა და ლიმონათის დალევა შეგვიძლია. ალკოჰოლს საერთოდ ვერ ვიტან. აი, ასეთი არასწორი ქართველი ვარ. ასე რომ, ჩემგან თამადა, ალბათ, ვერ გამოვა.

– როდის იმედოვნებ თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშს?

– იმედია, მათ შემდეგ შეკრებაზე, მარბელაში შევუერთდები. ყველაფერი ექიმების სიტყვაზე იქნება დამოკიდებული. სასიკეთო ცვლილებები სახეზეა. ოპერაციამდე სირბილიც კი მიჭირდა. ახლა კი, მაგალითად, სხვადასხვა მოძრაობა გამომდის. თავს კომფორტულად ვგრძნობ.

რიოში წასვლას 74 წლის სპორტსმენი აპირებს

რიოს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას 74 წლის იაპონელი ცხენოსანი ჰიროში ჰოკეცუ აპირებს.

ჰოკეცუმ განაცხადი შესარჩევ ტურნირზე მონაწილეობისთვის გააკეთა და იქ წარმატების შემთხვევაში ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული სპორტსმენი იქნება.

სადღეისოდ ეს რეკორდი შვედ ტყვიის მსროლელ ოსკარ სვანს ეკუთვნის. სკანდინავიელმა 1920 წელს ანტვერპენის ოლიმპიადაზე 72 წლის ასაკში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ჰოკეცუსთვის პირველი ოლიმპიადა 1964 წელს შედგა, სულ კი ოლიმპიადებში მონაწილეობა სამჯერ აქვს მიღებული. უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც 2012 წელს ლონდონში გაიმართა, 71 წლის ასაკში ჰოკეცუ ყველაზე ასაკოვანი მონაწილე იყო.

17 წლამდე ნაკრები მინსკის ტურნირს მოლდოვით გახსნის

საქართველოს 17 წლამდე საფეხბურთო ნაკრები მინსკში საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა. ვასილ მაისურაძის გუნდი უკვე ბელარუსის დედაქალაქშია.

მინსკის საერთაშორისო ტურნირი ბელორუსის ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით ტარდება. წელს საუკეთესოს ტიტულისთვის 12 ნაკრები იბრძოლებს. საქართველოს ნაკრების მეტოქეები ც ჯგუფში უკრაინის, მოლდოვისა და ფინეთის 17 წლამდე ნაკრებები იქნებიან.

ვასილ მაისურაძის გუნდი პირველ მატჩს დღეს, მოლდოვის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. 19 იანვარს ქართველი 17-წლამდელები ფინეთის ნაკრებს, ხოლო 21 იანვარს უკრაინელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. საქართველოს ასაკობრივი ნაკრები მინსკში 20 ფეხბურთელით გაემგზავრა.

17 წლამდე ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მიხეილ ერგემლიძე, ლუკა სილაგაძე, დავით კიკალიშვილი, ლევან ხარაბაძე, ლუკა ქაფიანიძე, გიორგი ჩაკვეტაძე, გიორგი კუცია (ყველა დინამო თბ), დავით კერესელიძე (ცხინვალი), ჯაბა კასრელიშვილი, ლაშა ნიკოლეიშვილი, დიმიტრი ვირუბოვი, ნუგზარ სპანდერაშვილი, სანდრო ანდრონიკაშვილი, ლაშა ობოლაძე (ყველა 35-ე საფეხბურთო სკოლა), ნიკა შიხაშვილი, იური ტაბატაძე, ნიკა ღლონტი (ყველა საბურთალო), ლუკა გუგეშაშვილი, ლუკა ასათიანი (ორივე იაგელონია, პოლონეთი), ბექა ქავთარაძე (სლავია პრაღა).

მინსკის ტურნირი 2005 წლიდან ტარდება, 2016 წლის გათამაშებაში კი მონაწილეობას ბელორუსიის, ლატვიის, სლოვენიის, ირანის, რუსეთის, ლიტვის, ისრაელის, სომხეთის, მოლდოვის, უკრაინის, ფინეთისა და საქართველოს 17 წლამდე ნაკრებები მიიღებენ. ტურნირის გამარჯვებული გუნდი 24 იანვარს გამოვლინდება.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

16 იანვარი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲓᲘᲔᲗᲘ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲨᲘᲞᲘ

ტოტენჰემი-სანდერლენდი 4:1
ბორნმუთი-ნორვიჩი 3:0
ჩელსი-ევერტონი 3:3
სიტი-კრ.პალასი 4:0
ნიუკასლი-ვესტ ჰემი 2:1
საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი 3:0
ასტონ ვილა-ლესტერი 1:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ლესტერი	22	12	8	2	39-26	44
2.სიტი	22	13	4	5	43-21	43
3.არსენალი	21	13	4	4	37-21	43
4.ტოტენჰემი	22	10	9	3	38-18	39
5.ვესტ ჰემი	22	9	8	5	34-26	35
6.მანჩესტერი	21	9	7	5	27-20	34
7.სტოკი	21	9	5	7	24-22	32
8.კრ.პალასი	22	9	4	9	23-24	31
9.ლივერპული	21	8	7	6	25-27	31
10.საუთჰემპტონი	22	8	6	8	31-24	30
11.ევერტონი	22	6	11	5	39-32	29
12.უოტფორდი	21	8	5	8	25-24	29
13.ვესტ ბრომვიჩი	22	7	6	9	22-30	27
14.ჩელსი	22	6	7	9	31-34	25
15.ბორნმუთი	22	6	6	10	26-37	24
16.ნორვიჩი	22	6	5	11	24-38	23
17.ნიუკასლი	22	5	6	11	24-39	21
18.სუონსი	21	4	7	10	19-30	19
19.სანდერლენდი	22	5	3	14	27-45	18
20.ასტონ ვილა	22	2	6	14	18-38	12

ᲘᲜᲓᲘᲔᲗᲘ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲨᲘᲞᲘ

უენსდი-ლიდსი 2:0
ბლეკბერნი-ბრაიტონი 0:1
ბრისტოლი-მიდლსბრო 1:0
დერბი-ბირმინგემი 0:3
ჰადერსფილდი-ფულემი 1:1
ჰალი-ჩარლტონი 6:0
იფსვიჩი-პრესტონი 1:1
მილტონი-რედინგი 1:0
ნოტინგემი-ბოლტონი 3:0
როტერჰემი-ქპრ 0:3
ვულვზი-კარდიფი 1:3

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

სევილია-მალაგა 2:1
სელტა-ლევანტე 4:3
ვილიარეალი-ბეტისი 0:0
სოსიედადი-დეპორტივო 1:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ატლეტიკო	19	14	2	3	27-8	44
2.ბარსელონა	18	13	3	2	44-15	42
3.რეალი	19	12	4	3	52-18	40
4.ვილიარეალი	20	12	4	4	26-16	40
5.სელტა	20	10	4	6	32-30	34
6.სევილია	20	9	5	6	28-22	32
7.ეიბარი	19	8	6	5	27-20	30
8.ბილბაო	19	8	4	7	27-22	28
9.დეპორტივო	20	6	10	4	27-24	28
10.მალაგა	20	6	6	8	15-17	24
11.ვალენსია	19	5	8	6	23-19	23
12.ხეტაფე	19	6	5	8	21-27	23
13.სოსიედადი	20	5	6	9	23-28	21
14.ესპანიოლი	19	6	3	10	17-30	21
15.ბეტისი	20	5	6	9	13-28	21
16.ლას პალმასი	19	4	6	9	19-27	18
17.გრანადა	19	4	5	10	20-36	17
18.ხიხონი	18	4	3	11	16-29	15
19.რაიო	19	4	3	12	21-43	15
20.ლევანტე	20	3	5	12	17-36	14

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ალბასეტე-ნუმანსია 0:2
ელჩე-ალკორკონი 2:0
ტენერიფე-ბილბაო ბ 2:0
სარაგოსა-ლიაგოსტერა 1:0
ოსასუნა-ოვიედო 0:0

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ა

ატალანტა-ინტერი 1:1
ტორინო-ფროზინონე 4:2
ნაპოლი-სასუოლო 3:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ნაპოლი	20	13	5	2	41-16	44
2.ინტერი	20	12	4	4	25-13	40
3.იუვენტუსი	19	12	3	4	33-15	39
4.ფიორენტინა	19	12	2	5	37-19	38
5.რომა	19	9	7	3	36-22	34
6.სასუოლო	19	8	7	4	24-20	31
7.ემპოლი	19	9	3	7	24-23	30
8.მილანი	19	8	5	6	25-23	29
9.ლაციო	19	8	3	8	23-27	27
10.კიევო	19	7	5	7	25-21	26
11.ტორინო	19	7	4	8	26-25	25
12.ატალანტა	20	7	4	9	21-24	25
13.უდინეზე	19	7	3	9	18-27	24
14.სამპდორია	19	6	5	8	28-30	23
15.ბოლონია	19	7	1	11	20-25	22
16.პალერმო	19	6	3	10	19-29	21
17.ჯენოა	19	5	4	10	19-26	19
18.ფროზონინე	20	4	3	13	22-45	15
19.კარპი	19	3	5	11	17-34	14
20.ვერონა	19	0	8	11	12-31	8

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ

აველინო-სალერნიტანა 1:0
კომო-პერუჯა 1:0
ლანჩანო-პრო ვერჩელი 1:0
პესკარა-ლივორნო 2:1
ლატინა-ნოვარა 1:0
ტერნანა-ტრაპანი 1:0
ვიჩენცა-მოდენა 2:1

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. 1 ᲚᲘ�გᲐ

ტულუზა-პსჟ 0:1
გენგამი-ნანტი 2:2
ტრუა-რენი 2:4
ბორდო-ლილი 1:0
გაზელეკი-რეიმსი 2:2
ბასტია-მონპელიე 1:0

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.პსჟ	21	18	3	0	51-9	57
2.ანჟე	21	9	7	5	20-13	34
3.ნიცა	21	9	6	6	35-25	33
4.მონაკო	20	8	9	3	27-25	33
5.რენი	21	7	10	4	31-25	31
6.კაენი	20	9	3	8	21-24	30
7.ლიონი	20	8	5	7	27-24	29
8.სტ.ეტიენი	20	9	2	9	23-24	29
9.ბორდო	21	7	8	6	25-28	29
10.ნანტი	21	7	7	7	18-20	28
11.ლორიანი	20	6	9	5	29-28	27
12.მარსელი	20	6	8	6	28-21	26
13.გაზელეკი	21	6	8	7	24-26	26
14.ლილი	21	5	10	6	16-15	25
15.ბასტია	21	7	4	10	21-26	25
16.მონპელიე	21	6	4	11	22-27	22
17.რეიმსი	21	5	7	9	22-29	22
18.გენგამი	21	5	6	10	19-29	21
19.ტულუზა	21	4	8	9	24-35	20
20.ტრუა	21	0	8	13	13-43	8

ᲡᲐᲤᲘᲜᲒᲔᲗᲘ. ᲛᲔ-2 ᲚᲘ�გᲐ

ბრესტი-ნანსი 1:1

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ᲔᲠᲔᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

კამბური-ვიტესი 0:2
ვიტესის მეორე გოლი ვაკო ყაზაიშვილმა გაიტანა
როდა-ალკმაარი 0:1
ზვოლე-ჰერენვენი 5:2
გრაფსხაპი-ექსელსიორი 2:0

ᲰᲝᲩᲙᲔᲒᲐᲪᲘᲐ. ᲞᲘᲠᲛᲔᲘᲠᲘᲡ ᲚᲘᲗᲐ

აკადემიკა-ფერეირა 1:1
მარიტიმუ-მადეირა 0:1

ᲛᲝᲢᲪᲐᲜᲓᲘᲐ. ᲞᲘᲠᲛᲔᲘᲠᲘᲛᲘᲞᲘ

ჰართსი-მოზერველი 6:0
კილმანროკი-ინვერნესი 2:1
პარტიკი-დანდი 2:4
სტ.ჯონსონი-ჰამილტონი 0:0

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ. ᲞᲘᲠᲝᲚᲘᲗᲐ

ბრიუგე-მუსკრონი 3:0
ლეუვენი-კორტრაიკი 1:0
ვესტერლო-მეხელენი 3:2
შარლერუა-სტ.ტრუიდენი 0:0

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ქსანთი-ატრომიტოსი 2:2
პანთრათიკოსი-პანეთოლიკოსი 0:0
ლევადიაკოსი-ირაკლისი 1:1

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲗᲐ

ქაშიმფაშა-გაზიანთები 1:2
ქაისერი-ოსმანლი 1:0
აკხისარი-ქონია 0:2
გალათასარაი-სივასი 3:1

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. ᲢᲘᲞᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲚᲘᲗᲐ

ბოჰემიანსი 1905-ვისერადი 4:0
ოპავა-ბრნო 1:2
ბანიკი-ზნოიმო 3:0
ფრისეკი-სიგმა 0:3
იიჰლავა-ტაბორსკო 1:1
ზლინი-სიგმა ბ 1:1

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

პრეზიდენტობის კანდიდატებს მილტონ ჰეიგი მოსწონთ

ილია ზედგინიძე

საქართველოს რაგბის კავშირის არჩევნები 24 იანვარს თბილისში, სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში გაიმართება. კანდიდატად დარეგისტრირების ბოლო ვადა 18 იანვარია.

ჯერჯერობით ორი კანდიდატია – ბოლოს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ამჟამად მწვრთნელი, ილია ზედგინიძე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდა.

შეგახსენებთ, რომ სრკ-ის საპრეზიდენტო არჩევნები ჯერ კიდევ 2015 წლის მიწურულს უნდა გამართულიყო, მაგრამ ორივე კანდიდატმა – გიორგი ნიჟარაძემ და ირაკლი აბუსერიძემ საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს.

30 დეკემბერს საპრეზიდენტო კანდიდატად საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გოჩა სვანიძე დარეგისტრირდა, ხოლო შემდეგ – ზედგინიძე. სავარაუდოდ, სვანიძე სწორედ ნიჟარაძის „კაცია“, ხოლო ზედგინიძის გუნდშია აბუსერიძე.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

დონბასის შენახვა რუსეთს თვეში 79 მილიონი ევრო უჯდება

გერმანულმა ბილდმა დონბასში შექმნილ ვითარებას ვრცელი ანალიტიკური მასალა მიუძღვნა. მასში ნათქვამია, რომ დონბასის შენახვა რუსეთს თვეში 79 მილიონი ევრო უჯდება.

ამ თანხაში შედის როგორც ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობისთვის ხელფასებისა და პენსიების გაცემა, ასევე გაზის, დენის, წყლის საფასურის გადახდა, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და ა.შ.

– ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებს არ აქვთ უნარი, ხალხს ხელფასები და პენსიები დაურიგონ ან თუნდაც მინიმალური საცხოვრებელი პირობები შეუქმნან, – წერს ბილდი.

ყირიმელმა თათრებმა ყირიმის ენერგობლოკადა მოხსნეს

16 იანვრიდან ძალაში შევიდა უკრაინის მთავრობის დადგენილება, რომელიც ყირიმთან ვაჭრობას კრძალავს.

ყირიმელი თათრების ერთ-ერთმა ლიდერმა რაფატ ჩუბაროვმა განაცხადა, რომ თათრები ნახევარკუნძულის ბლოკადას ხსნიან.

– უკრაინის მთავრობის დადგენილების შემდეგ ბლოკადას აზრი აღარ აქვს. რასაც ჩვენ ვაკეთებდით, სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა გახდა, – განაცხადა ჩუბაროვმა.

ყირიმში ელექტროენერგიის პრობლემა კვლავაც მწვავედ დგას. შეინიშნება პროდუქტების დეფიციტიც.

ტაივანის პრეზიდენტი ქალი გახდა

ტაივანის საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციურმა პროგრესულმა დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა.

მისი ლიდერი ქალი ცაი ინ-ვენი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა.

პირველად ტაივანის ისტორიაში პრეზიდენტად ქალი აირჩიეს.

მმართველმა გომინდანის პარტიამ არჩევნებში დამარცხება აღიარა. მისმა ლიდერმაც ცაი ინ-ვენს გამარჯვება მიულოცა.

ტერაქტი ბურკინა-ფასოში

ბურკინა-ფასოს დედაქალაქ უაგუდუში ტერორისტები ქვეყნის ყველაზე ფეშენებელურ ოტელს დაესხნენ თავს. მათ დაიკავეს ოტელი, მისი ბინადრები კი მძევლებად აიყვანეს.

ბურკინა-ფასოს უშიშროების ძალებმა ოტელის გათავისუფლება ცადეს.

ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა ოტელის 23 ბინადარი. ყველა მათგანი უცხოელი იყო.

მოკლულია 2 ტერორისტი. აქედან ერთი არაბია, მეორე – აფრიკელი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ასტროპროგნოზი

18 იანვრისთვის

ვერძი – დღეს სამსახური თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს, თუმცა გაითვალისწინეთ, წარმატება შესაძლოა მხოლოდ ილუზია იყოს. **კურო** – ნებისმიერ საქმეს გაუმკლავდებით, თუ სათანადო შეუპოვრობასა და შრომისმოყვარეობას გამოიჩენთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – დღე აღსავსეა ახალი იმედებით, შეხვედრებით, მოულოდნელი სასიამოვნო ნაცნობობით. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – საეჭვო ადამიანებთან კონტაქტი ცუდ შედეგს გამოიღებს. ხელგაშლილობა და არაეკონომიურობა თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. **ლომი** – ვარსკვლავები მშვიდ და ჰარმონიულ ოჯახურ ურთიერთობას გპირდებიან. ქალებს, სავარაუდოდ, ახალი თაყვანისმცემელი გამოგიჩნდებათ. **ქალწული** – შინაგანად აფორიაქებული ხართ. საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებით. უახლოეს მეგობარს გული გადაუშალეთ და უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლდით. **სასწორი** – ერიდეთ მატყუარებს. ქრონიკული ავადმყოფობები მწვავდება. სამსახურშიც პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა. **ღრიანკალი** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება. **მშვილდოსანი** – იყავით ფრთხილი და თავშეკავებული. ემოციები მოთოკეთ და ნებისმიერი შემოთავაზებული წინადადება გულმოდგინედ აწონ-დაწონეთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. უფროსობასთან კონფლიქტი გელით. შესაძლოა, სამსახურსაც კი დაემშვიდობოთ. აუცილებელია, მოვლენები რეალურად შეაფასოთ. **მერწყული** – დღის დევიზია ეკონომია და წინდახედულობა. ფულის ფლანგვა არასასურველ შედეგებამდე მიგიყვანთ. **თევზები** – პასიური დღეა. ნუ დაგეგმავთ შეხვედრას მეგობრებთან. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

პაკისტანელმა მოზარდმა ცილისწამების გამო ხელი მოიჭრა

პაკისტანში 15 წლის მოზარდმა ხელი მოიჭრა და ასეთი სახით დასაჯა საკუთარი თავი იმისთვის, რომ შეცდომით ბრბოს თვალში ღვთისმგმობელად გამოჩნდა.



ინციდენტი მოხდა სოფელში, რომელიც ხუჯრა-შახ-მუკიმის რაიონში მდებარეობს, პენჯაბის პროვინციის დედაქალაქ ლახორიდან 125 კილომეტრში.

იმამმა სოფლის მეჩეთში შეკრებილ მუსლიმანებს მიმართა, ხელი აეწიათ იმათ, ვინც აღარ ლოცულობდა. მოზარდმა, რომელმაც ზუსტად ვერ გაიგო მისი ნათქვამი, ხელი ასწია, რითიც მორწმუნეთა რისხვა დაიმსახურა. მათ მოზარდი ღვთის გმობასა და მკრეხელობაში დაადანაშაულეს.

მას შემდეგ, რაც მოზარდმა ხელი მოიჭრა, მან ის თეფშზე დადო და ღვთისმსახურს მიუტანა. ამ საქციელმა მოზარდის მშობლების მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურა. მან ასევე უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა თანასოფლელების მხრიდანაც.

საჭმელში ჩილის გარევამ ცოლ-ქმარი წააჩხუბა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტში 26 წლის მამაკაცი თავს დაესხა საკუთარ მეუღლესა და თავიანთ საერთო ნაცნობს, ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ ეს უკანასკნელი საჭმელში ჩილის უმატებდა.

ინციდენტი დაახლოებით დილის ხუთ საათზე მოხდა. როგორც დაზარალებულმა განაცხადა, მან, უბრალოდ, ჩილი ჩაუშვა ცეცხლზე დამდგარ ქვაბში, თუმცა მისმა ქმედებამ ბინის პატრონის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია, რომელმაც მას ჯერ უკბინა, შემდეგ კი თეძოს არეში დანა ჩაარტყა.

დაჭრილი სტუმარი ქუჩაში გავარდა და იქვე ახლოს მყოფ პოლიციელებს უხმო დასახმარებლად. დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო თავდამსხმელი მამაკაცი დააპატიმრეს.

ჩილი ტეხასური და მექსიკური სამზარეულოს კერძია. მის ძირითად კომპონენტებს მწარე წიწაკა და წვრილად დაჭრილი ხორცი შეადგენს, ასევე უმატებენ პომიდორს, ლობიოს, ნიორსა და ხახვს, სუფრაზე თეთრ ბრინჯთან ან ჩიპსებთან ერთად მიაქვთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კატა სელფს ადამიანზე უკეთ იღებს

ბრიტანულმა გამოცემამ მიაგნო კატას, რომელიც, მისი მტკიცებით, სელფს ადამიანებზე უკეთესად იღებს. კატას მენი ჰქვია. მას ინსტაგრამში საკუთარი გვერდი აქვს, რომელსაც თითქმის 43 ათასი ხელისმომწერი ჰყავს.

– კატების საერთო ფოტოსურათზე უკეთესი მხოლოდ ერთი რამაა: კატები, რომლებიც თავად უღებენ სურათს საკუთარ თავს, – წერს ბრიტანული გამოცემა და იქვე ამატებს, რომ მენის შეუძლია ასწავლოს სელფის შექმნის ხელოვნება. გამოცემის მტკიცებით, კატას ძალიან უყვარს ფოტოკამერა და ავტოპორტრეტის შექმნისგან თავს ვერ იკავებს.

– ჩვენც ისე კარგად რომ გამოვიყურებოდეთ, როგორც ის, მაშინ ჩვენც მთელი დღე სელფის გამოქვეყნებით ვიქნებოდით დაკავებულნი, – ხუმრობით წერს ბრიტანული გამოცემა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანვოხდი



1. ლიტერატურული ხერხი; 2. ამონი; 3. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 4. წესრიგის დამცველი რაზმი; 5. ვიწრო ქუჩა სოფლად; 6. მოკლე ორლესული მახვილი; 7. მაუგლის მეგობარი გველი; 8. ინსტრუმენტული პიესა; 9. სპორტული შეჯიბრის დასაწყისი; 10. მდინარე ევროპაში; 11. დესპოტი; 12. ებრაელთა ხმიადი; 13. ტბა ალასკაზე; 14. ... ჰეპბერნი; 15. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 16. ერთიანები კამათლებზე; 17. ლათინური ასოს სახელწოდება; 18. ავსტრალიური სირაქლემა; 19. მიშელ ...; 20. მესამე ნოტი; 21. პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი; 22. ლიბერიის დედაქალაქი; 23. ცხლად დასალევი წითელი ღვინო; 24. მოდური სიმღერა; 25. მტაცებელი ფრინველი; 26. ხელოვნური ბოჭკო; 27. მეზარბაზნე რუსეთში (ძვ.); 28. მონეტის ზედა მხარე; 29. ამერიკელთა მეტსახელი ევროპაში; 30. მამაკაცის გულამოჭრილი სერთუკი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დუაიენი; 2. აკრი; 3. სუეცი; 4. დრაივი; 6. „მუკუზანი“; 9. „ნადური“; 13. ტრამალი; 14. „ბარამბო“; 15. კაბურა; 17. „მედეა“; 18. ამური; 20. როქი.

თარაზულად: 1. დვალეთი; 5. პოემა; 7. გულჩორა; 8. „აირზენა“; 10. რისკი; 11. ცაიში; 12. „ბედეგი“; 16. ბაჩანა; 17. მუყაო; 19. ალჩუ; 21. გუჯარი; 22. თექურა; 23. „მარიცა“; 24. დოკერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „ლაკოსტა“; 2. ელეგია; 3. ტახომეტრი; 4. გელათი; 5. პიგმენტი; 7. ჯინი; 11. დუმბაძე; 13. ფაბრიკა; 15. ქლესა; 16. საბზა; 18. რამპა; 19. დუნაი.

თარაზულად: 6. ადაჟიო; 8. კლოშარი; 9. ფალანგა; 10. სიმინდი; 12. ჰაინე; 14. „ლიკანი“; 17. რუბეროიდი; 20. ფხაკაძე; 21. ესქილე; 22. პოლაკი; 23. ბასტილია.

ქართველი ტენორი რეალის სამეფო თეატრში მიიწვიეს

ქართველი საოპერო მომღერალი მიშა შეშაბერიძე მადრიდის რეალის სამეფო თეატრში მიიწვიეს. მიშა შეშაბერიძე იმ ქართველი ახალგაზრდა ხელოვანების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც უცხოეთში წარმატებით მოღვაწეობენ და ჩვენი ქვეყნისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეწევიან.

ინფორმაცია ქართველი მომღერლის მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან საოპერო თეატრში მიწვევასთან დაკავშირებით საოპერო მომღერალმა გოჩა დათუსანმა გაავრცელა:

– ჩემს ძმასა და დიდებულ ბიჭს ვულოცავ უდიდეს წარმატებას, მადრიდის რეალის სამეფო თეატრში მოღვაწეობის დაწყებას... უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინ დგამს სპექტაკლს და დგამს თვით კასპერ ჰოლტენი, შენი მოსახელე, კოვენტ გარდენის მოქმედი ინტენდანტი და ვინ დირიჟორობს... მიშო, სიმღერის ღმერთებმა ძალიან დაგაჯილდოვეს... გილოცავ...

ფოქსნიუსმა საქართველო ყველაზე ლამაზ ქვეყნად დაასახელა

მსოფლიოს წამყვანმა ტელეკომპანია ფოქსნიუსმა საქართველო ყველაზე ლამაზ ქვეყანათა ჩამონათვალში შეიყვანა. ფოქსნიუსის ინფორმაციით, საქართველო იმ 10 ქვეყნის ჩამონათვალშია, რომლებიც 2016 წელს ყველამ უნდა მოინახულოს.

– დღესდღეობით ყველა ლაპარაკობს რომზე, ბრაზილიაზე, კუბაზე, საფრანგეთზე, მაგრამ დედამიწაზე არის ქვეყნები, რომლებიც წელს აუცილებლად უნდა მოინახულოთ, – ასე იწყება ფოქსნიუსის სტატია, რომელშიც ტოპ 10 ქვეყანაა ჩამოთვლილი.

ფოქსნიუსის ფავორიტი ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო მერვე ადგილზეა. წერილში საუბარია საქართველოს ადგილმდებარეობაზე, მთისა და ზღვის უნიკალურ ნაზავზე, ქვეყნის ღირსშესანიშნაობებზე, რომლებიც იუნესკოს დაცვის ქვეშ იმყოფებიან.

მზექალა შანიძე 90 წლისაა

ენათმეცნიერი და ფილოლოგი მზექალა შანიძე 90 წლისაა. იუბილე და მრგვალი თარიღი აკაკი შანიძის ქალიშვილს სხვა სტუმრებთან ერთად დედაქალაქის მერმაც მიულოცა. მზექალა შანიძე გასულ წელს საპატიო თბილისელადაც დასახელდა.

ენათმეცნიერი მზექალა შანიძე ათეულობით წელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია.

ის 100 სამეცნიერო ნაშრომის, თარგმანებისა და მონოგრაფიების ავტორია.

მათ შორის აღსანიშნავია „ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი“, „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისა“, „ახლადაღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“.

მზექალა შანიძე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ღირსების ორდენის კავალერი და მამის, აკაკი შანიძის სახელობის პრემიის მფლობელი.

მიხეილ კოზაკოვს ლევან წულაძემ სპექტაკლი მიუძღვნა

მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და რეჟისორმა ლევან წულაძემ სიმამრს, ცნობილ მსახიობსა და რეჟისორს მიხეილ კოზაკოვს სპექტაკლი მიუძღვნა. მანანა კოზაკოვას მამა 4 წლის წინ 77 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ახალი სპექტაკლის პრემიერა მარჯანიშვილის თეატრში 19 იანვარს გაიმართება. ახალი წლის პირველი პრემიერა დიდ სცენაზე გათამაშდება.

„უსახელო ვარსკვლავი!“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელშიც მანანა კოზაკოვა, დუტა სხირტლაძე, კონსტანტინე როინიშვილი, ნიკა კუჭავა და ანა ვასაძე მონაწილეობენ.

მსახიობები პატარა პროვინციული ქალაქის ისტორიას მარჯანიშვილის სცენაზე გააცოცხლებენ.

ნანი ჩიქვინიძეს ვერიკო ანჯაფარიძის პრემია მიანიჭეს

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 120 წლის იუბილარ ჭიათურის თეატრში ხელოვანები მიიწვია და დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გამართა. გასული საუკეთესო თეატრალური ქმნილებების დაჯილდოების ცერემონიაზე 8 სახელობითი პრემია და 13 პრიზი გაიცა სხვადასხვა ნომინაციაში.

ნანი ჩიქვინიძემ ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია მიიღო სამსახიობო ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის.

კუმურდოს ტაძრის გუმბათი აღარ არსებობს

სამცხე-ჯავახეთის მხარეში მდებარე X საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული საკათედრო კუმურდოს ტაძარი უმძიმეს მდგომარეობაშია. მისი ნანგრევები შემორჩენილია სოფელ კუმურდოში.

ტაძრის კედლებზე შემორჩენილი წარწერებიდან ირკვევა, რომ აფხაზთა მეფის ლეონ III-ს დროს, 964, იოანე ეპისკოპოსის, კუმურდოელის თაოსნობით ქართველ ხუროთმოძღვარს საკოცარს დაუწყია ტაძრის მშენებლობა. კუმურდოში მოღვაწე მწიგნობართაგან აღსანიშნავი არიან იოანე კუმურდოელი, რომელიც შემდეგ სინის მთაზე მოღვაწეობდა და ზოსიმე.

კუმურდოს საეპისკოპოსო ტაძარი იმ იშვიათ ქართულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც მრავალი წარწერა ამშვენებს, მათ შორის სამშენებლოც, რომელშიც მოხსენიებულია ქტიტორი, ხუროთმოძღვარი და მითითებულია აგების თარიღი, 964 წელი.

ტაძარი მნიშვნელოვანია როგორც მხატვრული, ისე ევოლუციური თვალსაზრისით. XI საუკუნეში, ბაგრატ IV-ის დროს, ტაძარს სტოა მიაშენეს, რომელიც შესაძლებელია თავდაპირველად სამივე მხრიდან უვლიდა გარს დასავლეთ მკლავს. ახლა მისი მხოლოდ სამხრეთი ნაწილია გადარჩენილი; აღარ არსებობს გუმბათი, ძლიერ არის დაზიანებული დასავლეთის მკლავი. ამჟამად კუმურდოს ტაძრის გუმბათი და კამარების დიდი ნაწილი ჩამოქცეულია, დანგრეულია და შემდეგ დამახინჯებულად არის აღდგენილი მთელი დასავლეთი მხარე.

კუმურდოს ტაძარზე გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები 1975 წელს დაიწყო და ინტერვალებით 80-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობდა. გასულ წელს მომზადდა პროექტი, რომელიც კუმურდოს ტაძრის სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

თათია შარანგია: „ყველაზე მტკივნეული უსამართლობაა“

ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტი თათია შარანგია საჯარო განცხადებას ავრცელებს. ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილის, ლაშა შევარდნაძის ყოფილი მეუღლე ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს და სანდრო შელიაზეა დაქორწინებული. ის საქართველოში ჩამოსვლისას ყოველთვის მართავს საქველმოქმედო კონცერტებს და იმ ადამიანებს ეხმარება,რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

თათია შარანგია:

– როდესაც ადამიანებზე წარმოდგენა გეკარგება!!! ყველაზე მტკივნეული ამქვეყნად უსამართლობა მგონია, ყველაზე მდაბიო კი ის ადამიანები, რომლებსაც მდგომარეობა, სიტუაცია, რაღაც ქაღალდები, რომლითაც ჰგონიათ ადამიანების კეთილგანწყობასაც იყიდიან, ცვლით, ავიწყდებათ, საიდან მოდიან, ავიწყდებათ, ვინ გაუწოდა ხელი წამოდგომისას, ან უბრალოდ ავიწყდებათ ადამიანური საქციელი...

ვინატრებდი, ჩემ გარშემო გაიფილტროს ასეთი ადამიანები, ასეც მოვიქცევი...

მე მიყვარს გულწრფელი ადამიანები. თავმდაბალი ადამიანები, რომლისთვისაც მთავარ ღირსებად სიმართლე და ადამიანობა რჩება: „დრონი მეფობენ და არა მეფენი“... იმედი მაქვს, მოვახერხებ, ჩემი ბიჭები ისე გავზარდო, რომ მათთვისაც ეს ფასეულობა იყოს უმთავრესი.

რობერტ სტურუას ჰამლეტი სიმსივნით გარდაიცვალა



რობერტ სტურუას „ჰამლეტი“ სხვადასხვა ქვეყანაში არაერთხელ აქვს დადგმული. ქართველი რეჟისორის მიერ „რივერსაიდ სტუდიოში“ დადგმულ „ჰამლეტში“ მთავარი როლი ცნობილმა ინგლისელმა მსახიობმა ალან რიკმანმა შეასრულა, რომელიც მოგვიანებით სამჯერ ჩამოვიდა საქართველოში, 1979 წელს, 2007 წელს და 2009 წელს, როდესაც რუსთაველის თეატრის სცენაზე გამოვიდა. ეს სპექტაკლი მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შევიდა.

ალან რიკმანი 69 წლის ასაკში სიმსივნით გარდაიცვალა. ინფორმაცია ბიბისიმ გაავრცელა. ჰარი პოტერის, კერკეტი კაკლის, რობინ ჰუდი: ქურდების უფლისწულის, რომეო და ჯულიეტას ვარსკვლავი უკურნებელ დაავადებას წლების განმავლობაში ებრძოდა.

მსახიობობის გარდა, ალან რიკმანმა საკუთარი ძალები რეჟისურაშიც მოსინჯა და გადაიღო საკმაოდ გულის ამაჩუყებელი ფილმი „ზამთრის სტუმარი“, სადაც მთავარი როლი ემა ტომპსონმა შეასრულა. ფილმმა, ვენეციის კინოფესტივალის ჯილდოს გარდა კიდევ, რამდენიმე პრემია მიიღო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი
18 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბაბრო**" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ. "**ჩანგო ვებრინე**" **14.05** "მუსიკალოგოსი" **14.30** ან./ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ლორენცოს ზეთი**" (ს.სარანდონი)

08.00 დ/ფ "ალენ ბაშუნგი" **09.00** მხ/ფ "**სასახლის არომატები**" **10.30** დ/ფ "სტამბოლი" **11.00** ქართ. მხ/ფ "**შერეკილები**" **12.30** დ/ფ "მადაგასკარი" **13.50** დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრები" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**ლორ ანჯელესის პოლიცია**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **3** სერ. **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პაბარაკალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა–**2015 00.00** მხ/ფ "**შეუსრულებელი მისია**" (ჯ.ვოიტი) **02.10** მხ/ფ "**საკაგელი გოგონები**" (რ.მაკადამია) **03.45** ერთხელ საქართველოში **04.15** მხ/ფ "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული**" (ა.ბოლდუინი)

06.00, 19.55 სერ. "**აღთქმა**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.40** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **22.00** ნიჭიერი **23.30** სერ. "**სისრულის თეორია**" s1 (სეზ.3) **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

08.30, 19.00 საინფორმაციო. გამოშვება. მსოფლიო. ამბები. (გამეორება) **09.00** ან/სერ. "ავატარი. ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი" **09.30, 19.30** სერ. "**ჯონათან. სტრეინჯი. და. მისტერ. ნორელი**" **10.30** ჯიდიპედია **11.30** შუადღე **14.00, 18.00** სერ."**ახალი გოგო**". **14.30, 18.30** სერ. "**ცენტრი**" **15.00** ან/სერ. ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ **16.00** Discovery ამერიკა ფაქტები და გამონაგონი **17.00** აირჩიე კაბა **20.30 20.30 22.00** მზარეულები **22.30** მხ/ფ **00.50, 02.45** URBAN STORIES **01.45, 03.35** ჯიდიპედია **04.30** შუადღე. (გამეორება) **07.00 20.30.** (გამეორება)

06.10 მუს.პაუზა **06.15** ევერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** დ/ფ "მიწის სჯული" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი "**ერსი რამის სიყვარული დაფარავ, რომ სჭირდება**" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-წყალკურთხევა **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** საუფლონი-ნათლისღება-განცხადება უფლისა **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-იონა წინასწარმეტყველი I ნაწ. **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო-წყალკურთხევა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ ხმოლი-ფშავ-ხევსურეთი" II ნაწ. **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.00** სერ. "**ბაბინა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო "პულსი" **16.05, 17.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ეკატერინა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 იანვრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4250

ევრო — 2.6449

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4777

100 რუსული რუბლი — 3.1367

ამინდის პროგნოზი 18 იანვრისთვის

კალეიდოსკოპი

საფრანგეთში სირიელმა ლტოლვილმა მილიონი მოიგო

სირიელმა ლტოლვილმა საფრანგეთში ლატარიაში მილიონი ევრო მოიგო. მან მომგებიანი ბილეთი ათ ევროდ პარიზის მახლობლად მდებარე ქალაქ ბანიოლში შეიძინა.

სინამდვილეში მამაკაცმა თავისი პრიზი 2015 წლის ივნისში მიიღო, მაგრამ ეს ინფორმაცია მხოლოდ ახლახან გავრცელდა. ემიგრანტი 215-ე გამარჯვებული გახდა, რომლებმაც გასულ წელს მილიონიანი მოგება მიიღეს.

მამაკაცმა, რომელიც დაახლოებით 30 წლისაა, ბინა იყიდა, ახლა კი სურს, რესტორანი გახსნას. ის ასევე გეგმავს, დახვეწოს თავისი ფრანგული ენის ცოდნა და ოჯახიც საფრანგეთში ჩაიყვანოს.

ახალგაზრდა მამაკაცი საფრანგეთში 2011 წელს ჩავიდა, როდესაც სირიაში სამოქალაქო ომი დაიწყო. მანამდე მას სამშობლოში მცირე საწარმო ჰქონდა და – საკმაოდ წარმატებულიც, საფრანგეთში კი უბრალო მუშად მუშაობდა.

კოალამ სხვისი შვილები იშვილა

ავსტრალიის შტატის ახალ სამხრეთ უელსში კოალამ ორი პატარა იშვილა. ტყუპების დედას საკმარისი რძე არ აღმოაჩნდა და ამიტომ მას მეორე ახალგაზრდა დედა დაეხმარა. ახლა ეს კოალა სამ ნაშიერზე ზრუნავს (ერთი საკუთარი და ორი ნაშვილები).



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამივე პატარა კოალა თავს კარგად გრძნობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი 2

თარაზულად: 4. გადამდები სენის ფართოდ გავრცელება; 6. პრემიერ-მინისტრი გერმანიაში; 8. წყალგაუვალი მინის სარკმელი გემზე; 10. ლექსის სტროფი; 11. დენის სიმძლავრის ერთეული; 12. წუმწუმა (საბა); 14. მომღერალი შუა აზიაში; 17. მტაცებელი ცხოველი; 19. ნაყოფიერების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 20. წარმოების მმართველი; 21. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 22. მოხეტიალე მლოცველი; 23. მეორეხარისხოვანი ქალღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში.

შვეულად: 1. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 2. შრომისუუნარო ადამიანი; 3. ჭაბურღილიდან ნავთობის ამოსაღები მოწყობილობა; 5. ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი; 7. მხარეების მაჩვენებელი ხელსაწყო; 9. მთის ყველაზე მაღალი ადგილი; 13. კირშპატი; 15. ხილის წვენით და სახამებლით მოდღებული სასმელი; 16. თეთრი მაუდის მუნდირი; 18. ჯილდო სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულისთვის.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



20 იანვრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი. ტომი 1

რეალი და ატლეტიკო დასაჯეს. რიგში ვალენსია და ვილიარეალი არიან

ფიფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მადრიდის რეალსა და მადრიდის ატლეტიკოს 18 წელს მიუღწეველ ფეხბურთელთა ტრანსფერებში არაერთი დარღვევის გამო სანქცია დაეკისრათ.

2016 წლის ზაფხულისა და 2017 წლის ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა მადრიდის რეალისთვის დახურულია.

მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის დროს რეალს შეუძლია იმოქმედოს. ფლორენტინო პერესს მხოლოდ რამდენიმე დღე აქვს იმისათვის, რომ კლუბის გაძლიერება შეძლოს, მომდევნო 2 სატრანსფერო ფანჯარაზე კი კლუბის შემადგენლობა უცვლელი დარჩება.

ფიფა რეალის 39 ფეხბურთელის საქმეს სწავლობდა, მათ შორის ზინედინ ზიდანის 4 შვილია. მადრიდელ იურისტებს ბევრი რამის მტკიცება მოუწევთ.

ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ კლუბი ვერაფერს მიაღწევს და სანქცია ძალაში დარჩება.

ამის გამო რეალს ფიფასთან თხოვნები აქვს. კერძოდ, კლუბი აპირებს გაასაჩივროს ფიფას გადაწყვეტილება, მაგრამ ამასთანავე აქვს თხოვნა, რომ სატრანსფერო ბანი არ გავრცელდეს მომდევნო ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაზე და სანქციამ 2017 წლის ზამთარსა და ზაფხულში იმოქმედოს.

დედაქალაქში თვლიან, რომ კლუბი ზაფხულში სერიოზულად გაზრდის შემადგენლობის რესურსს და 1 წლიანი პაუზა დიდი პრობლემა აღარ იქნება.

ტრანსფერების განხორციელება შესაძლოა ვალენსიასა და ვილიარეალსაც აეკრძალოთ.

როგორც ესპანური მედია წერს, ამის მიზეზი „ღამურებში“ და „ყვითელ წყალქვეშა ნავებში“ დარეგისტრირებული არასრულწლოვანი ფეხბურთელები არიან.

19 იანვარს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის შეკრებაა დაგეგმილი, სადაც ფიფასგან შესაძლო სასჯელს განიხილავენ.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ანალოგიური სასჯელი ბარსელონამაც მიიღო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კრის ბოტი ფანებს ზაზა ფაჩულიას მხარდაჭერისკენ მოუწოდებს

ცნობილი ჯაზმენი და მესაყვირე კრის ბოტი თბილისში ორდღიანი კონცერტით იმყოფებოდა. მასთან და მის ბენდთან ერთად დიდ საკონცერტო დარბაზში ქართველმა საოპერო მომღერალმა ოთარ ჯორჯიკიამ იმღერა.

თბილისიდან წასვლის შემდეგ კრის ბოტის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე მიმართვა გაჩნდა. მუსიკოსმა თავის გულშემატკივრებს ზაზა ფაჩულიას მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

განცხადებასთან ერთად, კრის ბოტის ოფიციალურ გვერდზე ზაზა ფაჩულიასთან და მის მეუღლესთან თიკა ალავიძესთან ერთად გადაღებული კრის ბოტის ფოტოც აიტვირთა.

ეკა ირემაშვილი

იუმორი

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– ამ შაბათს ერთად ხომ არ გვესადილა?

– სასიამოვნოა, მაგრამ შაბათს ვთხოვდები.

– მაშინ პარასკევს!

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეუბნება:

– უსაფრთხოების ღვედი რატომ არ გიკეთიათ?

– ისე მეკითხები, თითქოს არ გაგიხარდა!

●●●

მეგობრები ქეიფობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– დაგისხა?

– არა, მანქანით ვარ.

– მერე, მანქანა სახლში ვერ დატოვე?

– მეჩქარებოდა, არ მინდოდა, რომ დალევა უჩემოდ დაგეწყოთ...

●●●

მამა სახლში სამსახურიდან დაბრუნდა. შვილი კართან შეეგება და ეკითხება:

– მამა, დღეს რა მიყიდე?

– არაფერი, შვილო, დღეს არაფერი მიყიდია.

ბავშვი შეტრიალდა, ოთახში შევიდა და დედას გასძახა:

– მიდი, შეეგებე, შენი ქმარი მოვიდა!

●●●

კლიენტი მკერავს ეუბნება:

– ღმერთმა სამყარო შვიდ დღეში შექმნა, შენ კი ჩემი შარვლის შეკერვას მთელი თვე მოანდომე.

– ახალგაზრდავ, ჯერ ამ სამყაროს შეხედე... და ახლა ამ შარვალს!

●●●

კოვბოი ბარში შევარდება, კოლტს დააძრობს და დაიძახებს:

– ვინ იწვა ჩემს დასთან?!

სიჩუმეა. შემდეგ ბარის შორეული კუთხიდან ხმა გაისმა:

– ყველასთვის ტყვიები არ გეყოფა!

●●●

ქალი სამი თვის ბავშვით ექიმთან შევიდა. ახალგაზრდა ექიმმა ჯერ ბავშვი შეამოწმა და რომ აღმოაჩინა, რომ საჭიროზე ნაკლებს იწონიდა, ქალს ეკითხება:

– ბავშვი ძუძუთი კვებაზე გყავთ თუ ხელოვნურზე?

– ძუძუთი კვებაზე.

– წელს ზევით გაიხადეთ.

ქალი მის მოთხოვნას დაემორჩილა. ექიმმა მკერდის მასაჟი დაუწყო, ოცი წუთის შემდეგ კი ეუბნება:

– ახლა უკვე არ მიკვირს, რომ ბავშვს წონის პრობლემა აქვს, თქვენ ხომ ძუძუში ერთი წვეთი რძეც კი არ გიდგათ!

– ვიცი. მე მისი ბებია ვარ და ძალიან მიხარია, თქვენთან რომ მოვედი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა